

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა: მასწავლებელთა განათლება

მარიკა დადიანი

ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების სწავლება ინდუქციური
და დედუქციური მეთოდებით საბაზო საფეხურზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მასწავლებელთა განათლების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნინო ჩახუნაშვილი
თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა
ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის
ასისტენტ-ფროფესორი პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საქართველოში გაუმჯობესდა მოსწავლეთა მიერ ინგლისური ენის ფლობის დონე, თუმცა ეს ფაქტი არ გამორიცხავს პრობლემების არსებობას. ინგლისური ენის სწავლების მთავარ მიზანს წარმოადგენს კომუნიკაცია. შუძლოებელია კომუნიკაციის დამყარება გრამატიკის გარეშე.

გრამატიკის სწავლება არის რთული პროცესი. მასწავლებელს შეუძლია გრამატიკის საკითხები ასწავლოს დედუქციური და ინდუქციური მეთოდებით. მასწავლებლებმა წინასწარ უნდა განსაზღვრონ და დაგეგმონ თუ რომელი მეთოდით სწავლება იქნება შედეგზე ორიენტირებული და ასევე, სწავლების პროცესი იქნეს საინტერესო და სახალისო.

მასწავლებელმა უნდა შეიმუშაოს ისეთი ატივობები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ცოდნის კონსტრუირებაში და დადებით გავლენას მოახდენს მოსწავლეების შემეცნებითი, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნებისა და სხვა უნარების განვითარებაზე.

თემის აქტუალუბა: გრამატიკა ინგლისური ენის სწავლების პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. ამიტომ საინტერესოა თუ რა პრობლემები იჩენს თავს გრამატიკის სწავლების პროცესში საბაზო საფეხურზე, რით არის ეს პრობლემები გამოწვეული და რომელ მეთოდებს იყენებენ ქართველი ინგლისური ენის მასწავლებლები იმ მიზნით, რომ მოსწავლეებს გაუადვილდეთ გრამატიკული მასალა.

კვლევის მიზანია ინდუქციური და დედუქციური მეთოდით ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების სწავლების პრაქტიკის კვლევა.

კვლევის ამოცანები:

- ✓ მეორადი ინფორმაციის მოძიება (თემაზე არსებული ლიტერატურის დამუშავება);
- ✓ კვლევის მიზნების და მეთოდების, კვლევის სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა;
- ✓ კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;
- ✓ ემპირიული კვლევის ჩატარება;

- ✓ მიღებული ინფორმაციის ანალიზი;
- ✓ დასკვნების, რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანია: ინგლისური ენის გრამატიკის სწავლება ინდუქციური და დედუქციური მეთოდით საბაზო საფეხურზე.

ობიექტს კი წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგაკვეთილო პროცესი.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები იყენებენ ორივე მეთოდს გრამატიკის სწავლების პროცესში. თუმცა, მოსწავლეებისთვის გრამატიკის სწავლება უფრო სახალისოა ინდუქციური მეთოდის გამოყენებით.

მიღებული შედეგების საფუძველზე გაიწერა რეკომენდაციები.

კვლევის სიახლე: ბოლო წლებში ჩემს ხელთ არსებულ ინფორმაციით, კვლევა აღნიშნულ საკითხზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არ ჩატარებულა ან არ არის გამოქვეყნებული.

Marika Dadiani

English Language Grammar Teaching with Deductive and Inductive Methods at Secondary school

Annotation

It should be pointed out that students' level of English language knowledge has improved in Georgia, but this fact does not exclude the existence of problems. The main purpose of teaching English is communication. It is impossible to communicate without grammar.

Grammar learning is a difficult process. The teacher can teach grammar issues with a deductive and inductive approaches. The teachers have to define and plan in advance which approach is appropriate for their students. In order to get the learning process interesting and fun.

The teacher should introduce such activities that will help students to improve their own knowledge and will have a positive impact on the development of students, cognition, creativity, critical thinking and other relevant skills.

The actuality of the research: Grammar is one of the most important point in the English language teaching process. It is interesting to know what the problems are in the grammar teaching process at Secondary school. What are these problems caused and which approach is used by Georgian English language teachers to help students make grammatical material easier.

The aim of the research is to study English-language grammar learning practices through inductive and deductive methods.

The tasks of the research:

- ✓ Finding the secondary information (The analyses of legal regulations about the existing literature);
- ✓ The determination of purpose of the study, methods and aim;
- ✓ Elaborating research instrument;
- ✓ Conduct of an empirical study;
- ✓ Analyses of the provided information;
- ✓ Elaboration of conclusion and recommendation.

The subject of the research is English Language Grammar Teaching with Deductive and Inductive Methods at Secondary school

The object of the research is the teaching process of the general education institution.

The result of research revealed that teachers use both methods in the teaching of grammar. However, learning grammar for pupils is fun with inductive approach.

Recommendations were formulated on the basis of the research.

The innovation of research: According to my own information in recent years, the research has not been conducted in general education institutions or has not been published

სარჩევი

შესავალი	7
თავი 1. ინგლისური ენის გრამატიკის სწავლების ისტორია და მისი მნიშვნელობა ინგლისური ენის გაკვეთილზე	12
თავი II. ინგლისური ენის გრამატიკის სწავლების თანამედროვე მეთოდები და მიდგომები.....	16
თავი III. გრამატიკის საკითხების სწავლება ინდუქციური და დედუქციური მეთოდებით.....	26
3.1. ინდუქციური მეთოდი	27
3.2. დედუქციური მეთოდით	30
3.3. ინდუქციური და დედუქციური მეთოდების უპირატესობები და ნაკლოვანებები.....	30
3.4. მასწავლებლის როლი ინდუქციური და დედუქციური მეთოდის სწავლებისას	33
კვლევის მიმოხილვა	36
კვლევის ანალიზი.....	37
საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება.....	37
დასკვნები.....	59
რეკომენდაციები.....	61
ლიტერატურის სია.....	63
დანართი 1	
დანართი 2	
დანართი 3	
დანართი 4	

შესავალი

საქართველო, როგორც ევროსაბჭოში შემავალი ქვეყანა, ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვანი სივრცის წევრია. უცხოური ენების ცოდნის გარეშე შეუძლებელია ამ სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება, ამიტომ ზოგადი განათლების ეროვნული სასწავლო გეგმა ორი ან სამი უცხოური ენის სწავლებას ითვალისწინებს. (საგნობრივი პროგრამა უცხოურ ენაში, თავი XIV, მუხლი 67,2018).

ცნობილია, რომ უცხოური ენის სწავლა რთული პროცესია და დიდი ძალისხმევას მოითხოვს. სასწავლო პროცესის წარმატებულობისთვის მოსწავლის მოტივაცია არის მნიშვნელოვანი. უცხოური ენის სწავლების პროცესი უნდა მოიცავდეს ისეთ აქტივობებს, რომლებიც მრავალფეროვნებით იქნება გამორჩეული. ასევე სწავლის პროცესში აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. ასეთ სიტუაციაში მოსწავლეები იქნებიან მოტივირებულები და სწავლების პროცესი იქნება მათთვის საინტერესო და სახალისო.

საქართველოს სკოლებში აუცილებელია ორი უცხოური ენის სწავლება. მათ შორის პირველი უცხოური ენაა ინგლისური ენა, რომელიც I კლასის მეორე სემესტრიდან ისწავლება XII კლასის ჩათლით.

ინგლისური ენა საერთაშორისო ენადაა აღიარებული. იგი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის სკოლაში ისწავლება. საქართველოშიც ინგლისური ენის ცოდნა ძალზე მნიშვნელოვანია კომუნიკაციისთვის, საერთაშორისო ურთიერთობების ეფექტურად წარმართისთვის და უკეთესი პროფესიული კარიერისთვის. ინგლისური ენის სწავლება ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

საბაზო საფეხურზე არჩევნის გაკეთება იმ ფაქტმა განაპირობა, რომ აღნიშნული საფეხური სავალდებულო სწავლების დამამთავრებელი ციკლია. საბაზო საფეხურის დამთავრების შემდეგ მოსწავლეთა ერთი ნაწილი ტოვებს სკოლას და აქტიურ ცხოვრებაში ერთვება. სწორედ სწავლების ამ ეტაპზე უნდა მოხდეს მოსწავლეთა შეიარაღება იმ ზოგადი უნარ-ჩვევებით, რომლებიც ხელს შეუწყობს მოქალაქეობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბებასა და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. რაც

შეეხება უცხო ენას, მისი მთავარი ამღზრდელობითი და საგანმანათლებლო მიზანია თითოეული მოსწავლის აღჭურვა იმ საბაზისო ცოდნით, რომელიც ხელს შეუწყობს თავისუფალ ორიენტირებას თანამედროვე ცხოვრებაში. კონკრეტულად, ამ ციკლის ბოლოს მოსწავლეს უნდა შეეძლოს შესწავლილ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ყოველდღიურ ყოფით სიტუაციებში. ასევე შემდგომში მოსწავლემ რა სფეროც არ უნდა აირჩიოს მას უცხო ენა დასჭირდება, როგორც ცოდნის გამდიდრების და გაღრმავების, ასევე გამოცდილების გაზიარების საშუალება. (საგნობრივი პროგრამა უცხოურ ენაში - თავი XXIV; 2011)

ინგლისური ენის სწავლება შესაძლებელია მრავალი სხვადასხვა მეთოდით, მთავარია შეირჩეს შესაფერისი მეთოდი შესაფერის კლასითვის. აუცილებელია სწავლების დროს გათვალისწინებული იყოს ასაკობრივი თავისებურებები. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ სკოლებში შემცირებულია გრამატიკის სწავლება გაკვეთილის პროცესში, რაც გარკვეული სირთულეების წინაშე აყენებს უცხო ენის შესწავლისას ქართველ მოსწავლეებს.

ინგლისური ენის სწავლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მეთოდების და მიდგომების სწორად შერჩევა. ინგლისური ენის სწავლების პროცესში შეგვიძლია გამოვიყენოთ ბევრი მეთოდი. წინა წლებში გრამატიკულ-მთარგმნელობით მეთოდს დიდი ადგილი ეჭირა ინგლისური ენის სწავლების პროცესში. დიდი ყურადღება კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარებას ექცეოდა. კომუნიკაციას კი ყურადღებას არ აქცევდნენ. დღესდღობით, ვითარება შეიცვალა და ინგლისური ენის სწავლების ამოსავალი მიზანი არის კომუნიკაციის უნარ-ჩვევის განვითარება. კომუნიკაცია კი შეუძლებელია დამყარდეს ლექსიკისა და გრამატიკის გარეშე. აქედან გამომდინარე, ინგლისური ენის სწავლისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია გრამატიკული უნარის განვითარება.

უცხოური ენის სტანდარტში აღნიშნულია, რომ საბაზო საფეხურზე უცხოური ენის შესწავლისას მოსწავლეები უცხოურ ენას ფუნქციურად გამოიყენებენ კომუნიკაციური მიზნებისა და სასწავლო საქმიანობათა განსახორციელებლად. შეუძლებელია ადამიანთან დამყარდეს კომუნიკაცია ლექსიკისა და გრამატიკის გარეშე. ენა ვერ იარსებებს გრამატიკის გარეშე. გრამატიკა, როგორც წესების კრებული, სიტყვების

ერთმანეთთან დასაკავშირებლად და წინადადების სწორად ასაგებად ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენის სწავლა/სწავლების პროცესში.

ცნება „გრამატიკა“ (ბერძნ. Grammatike) თავდაპირველად ნიშნავდა „კითხვისა და წერის ხელოვნებას“ და ის განათლების ერთ-ერთი მაჩვენებელი იყო. გრამატიკა ისწავლებოდა, როგორც ცალკე საგანი. იგი სწავლების მიზანს წარმოადგენდა. (ლ.გიორგობიანი,ლ.კახიშვილი,გ.მაცხოვნიშვილი,რ.ქვლივიძე, 2004, 133).

ინგლისური ენის გრამატიკული საკითხები შესაძლებელია ინდუქციური და დედუქციური მეთოდებით იქნეს ახსნილი მოსწავლეებისთვის. თუმცა, თითოეულ მეთოდის აუცილებელ მიზანს უნდა წარმოადგენდეს, რომ მოსწავლეებს გასაგებად და ნათლად დაანახოს როგორც კონკრეტული გრამატიკული კონსტრუქციები ასევე ის თუ როგორ ფუნქციონირებს ენა მათი გამოყენებით.

დედუქცია ეს არის სწავლების გზა, როდესაც ხდება ჯერ გრამატიკული წესების პრეზენტაცია და შემდეგ მოსდევს მაგალითები, ანუ დედუქცია მიდის წესიდან მაგალითისაკენ (ზოგადიდან კერძოსაკენ). გოლინი (Gollin, 1998, 88) ამტკიცებს, რომ ენის დაუფლება დედუქციურია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მასწავლებელი იძლევა წესს ფორმულის სახით, რომელსაც მოსწავლეები იყენებენ წინადადებების ასაგებად. გოლინი ასევე აღნიშნავს, რომ ტრადიციული გრამატიკულმთარგმნელობითი მეთოდიც სწორედ დედუქციურ მიდგომას ეყრდნობა.

რაც შეეხება ინდუქციურ მეთოდს, მას მეორენაირად წესის აღმოჩენის სწავლებასაც უწოდებენ. იგი, პირიქით, მაგალითიდან წესისაკენ მიდის, ანუ კერძოს განზოგადებას გულისხმობს. მასწავლებელი ხსნის გრამატიკულ ასპექტს მაგალითების გამოყენებით და შემდეგ მოსწავლეებს ავალეებს მათზე დაყრდნობით გრამატიკული წესის შემუშავებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეებს მზა წესები კი არ ეძლევათ, არამედ თვითონ უხდებათ მათი აღმოჩენა. ინდუქციურ მეთოდს ემყარება სწორედ კომუნიკაციური მეთოდი (Gollin, 1998, 88).

სკოლებში დაკვირვების დროს (ვგულისხმობ პრაქტიკას) ხშირად ვამჩნევდი გრამატიკული საკითხების მიწოდებას არაშესაფერისად ანუ გრამატიკის სწავლება მიმდინარეობდა უფრო ხშირად კონტექსტიდან ამოგლეჯილად. იყო ასევე გრამატიკის გაკვეთილები ცალკე კვირაში ერთხელ და იყო სულ ერთი და იგივე

მეთოდით/მიდგომით ახსნილი გრამატიკული საკითხები. მასწავლებლები ძირითადად იყენებდნენ დედუქციურ მეთოდს და მოსწავლეებს აწვდიდნენ მზა მასალას. მოსწავლეები არ იყვნენ აქტიურები და ბევრჯერ ისე დამთავრებულა გაკვეთილი, რომ ნახევარი კლასი არ ყოფილა ჩართული გაკვეთილის პროცესში.

ყოველივე ზემოთხსენებულის გათვალისწინებით, ჩვენს წინაშე გამოიკვეთა **საკვლევი პრობლემა**: სკოლებში დაკვირვებამ (ვგულისხმობ პრაქტიკის დროს) განაპირობა ის, რომ საკვლევ პრობლემად ავარჩიეთ გრამატიკის სწავლება ინდუქციური და დედუქციური მეთოდით საბაზო საფეხურზე ანუ რომელი მეთოდით მიწოდებული გრამატიკული საკითხი იქნებოდა ადვილი და სახალისო მოსწავლეებისთვის.

თემის აქტუალობა: გრამატიკა ინგლისური ენის სწავლების პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. გრამატიკის საკითხების შესწავლა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ საინტერესოა თუ რა პრობლემები იჩენს თავს გრამატიკის სწავლების პროცესში საბაზო საფეხურზე, რით არის ეს პრობლემები გამოწვეული და რომელ მეთოდებს იყენებენ ქართველი ინგლისური ენის მასწავლებლები იმ მიზნით, რომ მოსწავლეებს გაუადვილდეთ გრამატიკული მასალა.

ნაშრომის კვლევის საგანია: ინგლისური ენის გრამატიკის სწავლება ინდუქციური და დედუქციური მეთოდით საბაზო საფეხურზე.

ობიექტს კი **წარმოადგენს** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგაკვეთილო პროცესი.

კვლევის მიზანია ინდუქციური და დედუქციური მეთოდით ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების სწავლების პრაქტიკის კვლევა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავისხეთ შემდეგი **ამოცანები**:

- ✓ მეორადი ინფორმაციის მოძიება (თემაზე არსებული ლიტერატურის დამუშავება);
- ✓ კვლევის მიზნების და მეთოდების, კვლევის სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა;
- ✓ კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;
- ✓ ემპირიული კვლევის ჩატარება;
- ✓ მიღებული ინფორმაციის ანალიზი;

- ✓ დასკვნების, რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის მეთოდები:

- ✓ საკვლევი თემის ფარგლებში არსებული ლიტერატურის შესწავლა-ანალიზი;
- ✓ საბაზო საფეხურზე ინგლისური ენის გაკვეთილზე დაკვირვება;
- ✓ ანკეტირება (კითხვარების შემუშავება, საბაზო საფეხურის მოსწავლეებისა და ინგლისურის მასწავლებლების გამოკითხვა);
- ✓ ჩემს მიერ მოპოვებული მონაცემების შეგროვება და მათი დამუშავება;
- ✓ შედეგების შეჯამება და ანალიზი.

იმისათვის, რომ საკითხი უფრო ღრმად შეგვესწავლა გამოვიყენეთ თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები - დაკვირვება, ანკეტირება, მიღებული მონაცემების ანალიზი და შეჯამება.

ნაშრომის სიახლე: ბოლო წლებში ჩემს ხელთ არსებულ ინფორმაციით, კვლევა აღნიშნულ საკითხზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არ ჩატარებულა ან არ არის გამოქვეყნებული.

თავი 1. ინგლისური ენის გრამატიკის სწავლების ისტორია და მისი მნიშვნელობა ინგლისური ენის გაკვეთილზე

გრამატიკის სწავლება მუდმივად განხილვის საკითხია. გრამატიკის სწავლება უცხოური ენების მეთოდის და დიდაქტიკის შემადგენელი ნაწილია.

იყო დრო, როდესაც გრამატიკას მიიჩნევდნენ ენის სწავლების მთავარ მიზნად (მაგ. გრამატიკულ თარგმნითი მეთოდი), ანდა საერთოდ დევნიდნენ მას სასწავლო პროცესიდან.

მე-19-ე საუკუნეში გრამატიკა სასწავლო პროცესის მთავარი მიზანი იყო. ძირითადად გაკვეთილები ტარდებოდა გრამატიკულ-მთარგმნელობით მეთოდით. გრამატიკული წესების პრეზენტაცია, მათი დასწავლა და წინადადებების აგება იყო მთავარი ინგლისური ენის გაკვეთილზე.

მე-20-ე საუკუნის დასაწყისში შეიცვალა მდგომარეობა. ამ დროისთვის უკვე ინგლისური ენის გაკვეთილები ტარდებოდა პირდაპირი მეთოდით. გრამატიკულ-მთარგმნელობით მეთოდისაგან განსხვავებით პირდაპირი მეთოდი არ იყო გრამატიკულ წესზე ორიენტირებული, რის შემდეგაც გრამატიკამ ცენტრალური ადგილი დაკარგა გაკვეთილის პროცესში.

მე-20-ე საუკუნის 30-50 წლებში გაკვეთილი ტარდებოდა აუდიოვიზუალურ და აუდიოლინგვალურ მეთოდებით. მიუხედავად იმისა, რომ გრამატიკა არ იყო სასწავლო პროცესის მიზანი, სასწავლო პროცესში შეინიშნებოდა მაინც მისი როლი.

გრამატიკის როლი და სწავლების პრინციპები იცვლებოდა კაცობრიობის ისტორიაში ჩატარებული პირველი გაკვეთილიდან დღემდე და გრამატიკის როლი თანამედროვე უცხოური ენის გაკვეთილზე პრინციპულად განსხვავდება ტრადიციული გრამატიკის სწავლებისაგან. (შავერდაშვილი, ე., ფირცხელაური, ნ., რამიშვილი, ფ., გვასალია, მ. 2014, 73).

როგორც ვხედავთ, გრამატიკის მნიშვნელობა უცხოური ენის სწავლებაში სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით იცვლებოდა. გრამატიკა უნდა განხილული იყოს, როგორც უცხოური ენის სწავლების საშუალება და არა თვით მიზანი.

ტრადიციული უცხოური ენის გაკვეთილის მიხედვით გრამატიკული კომპეტენციის განვითარება გრამატიკული წესების დასწავლითა და წინადადებებში

მათი გამოყენებით ხდებოდა. ხოლო გრამატიკული კომპეტენცია დღეს ნიშნავს, იმას, რომ ენის შემსწავლელს შეუძლია ტექსტში გრამატიკული სტრუქტურების ამოცნობა, მათთვის მნიშვნელობის მინიჭება და მათი გამოყენებით საკუთარი აზრის შესასწავლ ენაზე ჩამოყალიბება.

თანამედროვე უცხოური ენის გაკვეთილზე აუცილებელია, რომ ენის შემსწავლელებს მათთვის საინტერესო თემები და შინაარსები მიეწოდოს და გრამატიკა და ტექსტი ერთმანეთთან ლოგიკურად იყვნენ დაკავშირებული, რადგან გრამატიკაზე მუშაობა საინტერესო შინაარსის გარეშე არ არის ეფექტური. მნიშვნელოვანია ის, რომ ესა თუ ის კონკრეტული თემა რომელიმე გრამატიკულ მოვლენას კი არ უნდა ეძღვნებოდეს, არამედ რომელიმე თემის შესახებ შინაარსის გადმოცემას უნდა ემსახურებოდეს და ენის შესწავლის პროცესში გრამატიკას მხოლოდ დამხმარე საშუალების როლი უკავია და მისი სტრუქტურების პრაგმატულად მნიშვნელოვან და შინაარსობრივად საინტერესო თემებთან დაკავშირება შედეგის მიღწევის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. (შავერდაშილი, ე., ფორცხელაური, ნ., რამიშვილი, ფ., გვასალია, მ. 2014, 73).

ინგლისური ენის გაკვეთილზე არ არის საჭირო გრამატიკის ყველა ნიაუნის სწავლება. ყურადღება უნდა გამახვილდეს მხოლოდ იმაზე თუ რისი ცოდნაც აუცილებელია მოსწავლისთვის. გრამატიკის ახსნისას უნდა მივაქციოთ ყურადღება „ფორმას“ და „გამოყენებას“. ფორმა გულისხმობს გრამატიკულ ფორმას და წესებს. ხოლო გამოყენება კონტექსტს. კონტექსტის საშუალებით მოსწავლე გადმოსცემს თავის ინფორმაციას, ეს შეიძლება ეხებოდეს ოჯახს, მეგობრებს და ა.შ.

გრამატიკული საკითხები გამოხატავენ დროს (Time), ადგილს (place) და შესაძლებლობებს (Possibility). ასევე ენის სწავლებისას ძალზე მნიშვნელოვანია სიზუსტე (accuracy) და სისწრაფე (fluency). თუ არ იქნება გრამატიკული სიზუსტე დაცული ვერ დამყარდება ეფექტური კომუნიკაცია. თუ წინადადებები არ იქნება გრამატიკულად გამართული, საუბარი იქნება გასაგები, მაგრამ იქნება გრამატიკული შეცდომები (errors). თუ მხედველობაში მივიღებთ სალაპარაკო ინგლისურს მაშინ ჩვენი მიზანი იქნება გავაუმჯობესოთ ზეპირი სისწრაფე (oral fluency) და უგულველყოთ გრამატიკული შეცდომები. გრამატიკული შეცდომების მიუხედავად ჩვენ ვიგებთ შინაარსს.

დღეს გაკვეთილზე უნდა გამოიყენებოდეს გრამატიკული დავალებები, რომლებიც

- არის ინტერაქტიული;
- შეიცავს თამაშის ელემენტებს;
- ავარჯიშებს პარალელურად რაიმე უნარ-ჩვევას;
- არის შინაარსობრივად საინტერესო;
- არის რელურ, ყოფით სიტუაციაზე ორიენტირებული;
- დახმარების სახით შეიცავს მზა ფრაზებს, გამოთქმებს, მაგალითებს;
- არის კრეატიული.

მასწავლებლისთვის არ არის მარტივი გრამატიკული თემის მოსწავლისთვის გასაგებად და მარტივად ახსნა, ამიტომ უკეთ აღსაქმელად და დასამახსოვრებლად საჭიროა მათი ვიზუალური იმპულსებით აღნიშვნა: ცხრილებით, რაიმე სიმბოლოებით, ფერადი აღნიშვნებით და ნახატებით. ასევე აღსანიშნავია ის რომ ვიზუალური იმპულსი უნდა იქნეს გამოყენებული ადეკვატურად და გონივრულად.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, გრამატიკის საკითხების მიწოდება მოსწავლეებისათვის შესაძლებელია სხვადასხვა მიდგომით ან მეთოდით. ამასთანავე მასწავლებელს აქვს სილაბუსი და სასწავლო მასალები. მან ამის მიხედვით უნდა დაგეგმოს სასწავლო პროცესი.

ჰარმერი აღნიშნავს, რომ მასწავლებლები ენდობიან სასწავლო სახელმძღვანელოს და იყენებენ გრამატიკული საკითხების ახსნისას, ან თვითონ გეგმავენ წინასწარ თუ რა გრამატიკული საკითხები სურთ რომ ისწავლონ თავიანთ მოსწავლეებმა. მასწავლებლების უმრავლესობას აქვს საკუთარი გრამატიკული საკითხების ახსნის სტილი და ფავორიტი აქტივობები. ამ ყველაფერს კი მასწავლებლები იყენებენ იმისთვის, რომ ასწავლონ გრამატიკული საკითხები მოსწავლეებს.

მიუხედავად ამისა Swan (1994) გვთავაზობს სასარგებლო პრინციპებს თუ როგორ წარვადგინოთ გრამატიკული წესები საკლასო ოთახში.

- გრამატიკული მასალის ახსნამდე, მოსწავლეებმა უფულველყონ მაგალითები კონტექსტში.
- სამიზნე ენაზე თქვან და დაწერონ მაგალითები.
- ასწავლეთ ორივე - ფორმა და მნიშვნელობა.

- მასწავლებელმა არ უნდა გამოიყენოს გრამატიკული ტერმინოლოგია.
- აუხსენით მოსწავლეებს გრამატიკა მშობლიურ ენაზე, თუ ისინი არ არიან საკმაოდ მცოდნე სამიზნე ენის და თუ ვერ გაუმკლავდებიან სამიზნე ენაზე განმარტებებს.
- შეადარეთ ინგლისურის სტრუქტურა მშობლიური ენის სტრუქტურას თუ შეგიძლიათ.
- ხშირად აუხსენით ზუსტი, ნათელი წესებით.
- მასწავლებლებს შეუძლიათ თხოვონ მოსწავლეებს იმუშაონ წესებზე თვითონ მაგალითებზე დაკვირვებით (inductive process) ან თქვენ შეგიძლიათ მისცეთ წესები და შემდეგ იმუშაონ მაგალითებზე. (deductive process).

პენიური ინგლისური ენის მასწავლებლებს სთავაზობს პრაქტიკულ რჩევებს ახალი გრამატიკის ახსნის დროს გამოსაყენებლად.

მისი რჩევები შემდგომში მდგომარეობს:

➤ გამოიყენეთ სურათები - თუ გამოიყენებთ შესაფერის სურათებს ეს დაგეხმარებათ ახსნისას ან თუნდაც გამოიყენეთ თვალსაჩინოება, ეს კი დაგეხმარებათ რომ იყოთ თქვენი გაკვეთილი დასამახსოვრებელი.

➤ ნუ იტყვით, გაიგეთ? - მოსწავლეები ხშირად ამბობენ დიახ. მათ არ სურთ აღიარონ, რომ ნამდვილად ვერ გაიგეს. სთხოვეთ მოსწავლეებს მოიყვანონ მაგალითები ან ახსნა მათი სიტყვებით ახსნილი მასალა, რომ გაიგოთ თუ როგორ გაიგეს ახალი გრამატიკული საკითხი მოსწავლეებმა.

➤ გაეცით უკუკავშირი - როდესაც თქვენ მორჩებით გრამატიკულ საკითხის ახსნას, წაშალეთ ყველაფერი დაფიდან. უთხარით მოსწავლეებს დახურონ რვეულები, დაწერონ მათი სიტყვებით თუ რა იყო ახსნილი წესი ინგლისურად ან მშობლიურ ენაზე. შემდეგ სთხოვეთ მათ წაიკითხონ რაც დაწერეს ან გაუზიარონ ერთმანეთს

➤ ასწავლე ადრევე გაკვეთილზე - როგორც ახალი ლექსიკის სწავლება, ასევე კარგია დაგეგმობთ გრამატიკის ახსნა გაკვეთილის დასაწყისში, როდესაც მოსწავლეები არიან უფრო მონდომებულები და ჩართულები. (Penny. U. 2006,81).

თავი II. ინგლისური ენის გრამატიკის სწავლების თანამედროვე მეთოდები და მიდგომები

გრამატიკის სწავლება ნებისმიერი ენის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მისი მიდგომები და ხერხები გაკვეთილზე მეთოდების განვითარებასთან ერთად მუდმივ ცვლილებაშია. გრამატიკის როლი თანამედროვე უცხოური ენის გაკვეთილზე პრინციპულად განსხვავდება ტრადიციული გრამატიკის სწავლებისგან.

სიტყვა მეთოდი (Methodos) ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს საშუალებას, გზას და მოქმედების ხერხს. ცნება მეთოდი სხვადასხვანაირად განიხილება თანამედროვე მეცნიერებაში და შესაბამისად, განსხვავებული შინაარსიც აქვს.

მეთოდის ნაცვლად ზოგჯერ შეიძლება შეგვხვდეს სიტყვა მიდგომა ან მეთოდოლოგია. ინდუქციურ და დედუქციურ მიდგომას ზოგი მეცნიერი ახსენებს როგორც მიდგომას, ზოგი კი მეთოდს. ამიტომ ჩვენს სამაგისტრო ნაშრომში გადავწყვიტეთ, რომ ჩვენ მივემხროთ მეთოდს და მოვიხსენიებთ, როგორც ინდუქციური და დედუქციური მეთოდს.

ინგლისური ენის გრამატიკის სწავლება რთული პროცესია. თანამედროვე ინგლისური ენის გაკვეთილზე მასწავლებელი მუდმივად ცდილობს მოსწავლეების აქტიურად ჩართულობას სასწავლო პროცესში შემდეგი მეთოდების გამოყენებით : გრამატიკული-მთარგნელობითი მეთოდი (Grammar-Translation Method), პირდაპირი მეთოდი (Direct Method), აუდიო-ლინგვალური მეთოდი (Audio-Lingual Method), დავალებაზე ორიენტირებული ენის სწავლება (Task-based Language Learning), სრული ფიზიკური რეაგირება/პასუხი (Total Physical Response), სუგესტიპედია (Suggestopedia) და ა. შ. შევეცდებით თითოეულ მეთოდზე ცალ-ცალკე ვისაუბროთ.

2.1 მეთოდები

გრამატიკული-მთარგნელობითი მეთოდი (Grammar-Translation Method) - უცხოური ენების სწავლების ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული და გავრცელებული

მეთოდია, რომელიც მე-19 საუკუნეში ევროპის გიმნაზიებში თანამედროვე ენების სწავლებისთვის გამოიყენებოდა.

უცხოური ენების გაკვეთილზე გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდის მთავარი შინაარსი გრამატიკული წესების სწავლება და სათარგმნ ტექსტებში მათი პრაქტიკული გამოყენება იყო. უცხოური ენიდან თარგმნა გაკვეთილის მთავარ მეთოდს წარმოადგენდა. გაკვეთილის ძირითადი მიზანი მოსწავლეთა „ზოგადი ინტელექტუალური განათლება“ იყო.

გრამატიკული-მთარგმნელობითი მეთოდის დროს უცხოური ენის გაკვეთილზე უპირატესობა წერიტი ენის შესწავლას ენიჭებოდა და სამეტყველო უნარ-ჩვევებიდან კითხვას, წერას და ნაწილობრივ ლაპარაკს (დაზეპირებულის მოყოლას) ექცეოდა ყურადღება. მოსმენის უნარჩვევა სრულიად იყო იგნორირებული. ენობრივი მასალის დასწავლა თარგმნისა და მასალის მექანიკური დაზეპირების გზით ხდებოდა. ახალი სიტყვების თარგმნისა და მათი დასწავლის შემდეგ მოსწავლეს უნდა შეძლებოდა ახალი ტექსტების გაგება და მათი მშობლიურ ენაზე თარგმნა.

გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი დედუქციური მეთოდია, რაც წესების გაგებასა და მათ გამოყენებას გულისხმობს. ყურადღება გამახვილებულია არა იმდენად ენის პრაქტიკულ ფლობაზე, რამდენადაც ენის ფორმალური აგებულებისა და წესთა სისტემის შესახებ. გაკვეთილი მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს.

გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი ფოკუსირებულია გრამატიკულ ასპექტებზე და მისი გამოყენებით შემსწავლელებს უვითარდებათ გრამატიკულ-მთარგმნელობითი უნარ-ჩვევები. ამ მეთოდისთვის დამახასიათებელია მშობლიური

ენის გამოყენება და ტიპური სავარჯიშოების თარგმანები, კითხვებზე პასუხის გაცემა,

გრაფიკული სავარჯიშოები, სინონიმები/ანტონიმები და ა.შ. (ციციშვილი და სხვ., 2006, 20).

გაკვეთილზე ძირითადად გამოიყენება შემდეგი სავარჯიშოები :

- წინადადებების მშობლიური ენიდან უცხოურ ენაზე თარგმნა და პირიქით თარგმნა;

- კლასიკური ლიტერატურის კითხვა და წაკითხულის წერილობითი ან ზეპირი გადმოცემა;
- გრამატიკული წესების გამოყენებით კონკრეტული წინადადებების შედგენა;
- წინადადებების გადაყვანა ერთი ფორმიდან მეორეში;
- კარნახი;
- ტექსტში გამოტოვებული ადგილების შევსება;
- წინადადებებში გამოტოვებულ ადგილებში სიტყვების ჩასმა.

გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდის ძირითადი პრინციპებია :

- წერილი მეტყველების სწავლება;
- კითხვისა და წერის წინა პლანზე წამოწევა ენის ათვისებისთვის;
- გაკვეთილის მნიშვნელოვანი მიზანი - თარგმნა;
- მოსწავლე პასიურია და მასწავლებელია ყველაფრის მცოდნე და აწვდის მასალას;
- შეცდომების დაშვების შემთხვევაში მასწავლებლისგან დაუყოვნებლივი შესწორება;
- კორექტულობა და ზუსტი პასუხების აუცილებლობა;

გრამატიკულ მთარგმნელობითი მეთოდის გამოყენება ხშირად არ არის სასურველი იმის გამო, რომ იგი არ იძლევა საშუალებას, მიღწეულ იქნეს თავისუფალი მეტყველება. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი ეხმარება მოსწავლეებს დაეუფლონ გრამატიკულ წესებს, მათ არ შეუძლიათ ამ წესების სათანადოდ გამოყენება კომუნიკაციის დროს, რაც ხელს უშლის ინგლისური ენის მიზმის მიღწევას ანუ კომუნიკაციის გაუმჯობესებას.

პირდაპირი მეთოდი (Direct Method) - ეს ის მეთოდია, სადაც წერით ენასთან შედარებით სამეტყველო ენას პრიორიტეტი ენიჭება. პირდაპირი მეთოდი გულისხმობს, იმას, რომ უცხოური ენის შესწავლა პირდაპირ, მშობლიური ენის გარეშე უნდა ხდებოდეს და მისი გამოყენება გაკვეთილზე მაქსიმალურად შეზღუდულია.

პირდაპირი მეთოდის მოზანს წარმოადგენდა ყოფით ენაზე ორიენტირება და კომუნიკაციაში მონაწილეობა. ამიტომ ფონეტიკას მნიშვნელოვანი როლი ეთმობოდა გაკვეთილზე. რაც შეეხება გრამატიკას, ის თავდაპირველად მოსწავლეს მაგალითების

სახით მიეწოდებოდა და მხოლოდ მაგალითების გაკეთების შემდეგ ხდებოდა გრამატიკული წესების მოსწავლისთვის მიწოდება. ზოგ შემთხვევაში გრამატიკული წესები არც იყო მოცემული სახელმძღვანელოში.

ენის შესწავლა, გრამატიკული მთარგმნელობითი მეთოდისგან განსხვავებით, არ ხდებოდა გრამატიკული წესების დასწავლა და მათი თარგმნაში გამოყენება. ის მასწავლებლის მიზამვით მიმდინარეობდა, (მოსმენა-გამეორება) და ლექსიკას მოსწავლეები ასოციაციურად ეუფლებოდნენ ანუ ახალი სიტყვების გაგებისა და შესწავლისას მოსწავლეები მათ რაიმე კონკრეტულ საგნებთან აკავშირებდნენ და ისე ითვისებდნენ.

პირდაპირი მეთოდისათვის დამახასიათებელი იყო იმიტაციური (მასწავლებლის მიზამვა), ასოციაციური (სიტყვების კონკრეტულ საგნებთან დაკავშირება) და ინდუქციური (მაგალითიდან წესამდე) კონცეფცია.

გაკვეთილზე უმეტესწილად გამოიყენებოდა შემდეგი სავარჯიშოთა ტიპები:

- კითხვა-პასუხი;
- სავარჯიშოები წარმოთქმაზე სავარჯიშოდ;
- ტექსტში გამოტოვებული ადგილების შევსება;
- დიალოგების გათამაშება;
- სტროფებისა და სიმღერების ზეპირად დასწავლა;
- კარნახი და ტექსტების მოყოლა.

პირდაპირი მეთოდის ძირითადი პრინციპებია:

- სამეტყველო ენის წერით ენასთან მიმართებასი პრიორიტეტულია;
- მოსმენას და ლაპარაკს უფრო დიდი ყურადღება ექცევა ვიდრე კითხვას და წერას.;
- ენის შესწავლა გულისხმობს მასწავლებლის მიზამვას;
- ეცხოური ენის გაკვეთილი სამიზნე ენაზე მიმდინარეობს;
- შესასწავლი მასალის დაკავშირება ყოველდღიურ ყოფით სიტუაციებთან ხდება, რომელიც წარმოდგენილია დიალოგებში;
- სასწავლო მასალის შერჩევა მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად ხდება.

ამ მეთოდით გრამატიკული საკითხის ახსნა ხდებოდა მშობლიური ენის გვერდის ავლით. მასწავლებლები იყენებდნენ საგნებს, თვალსაჩინოებებს, რეალიებს მასალის გასაგებად. გრამატიკა ისწავლებოდა ინდუქციური გზით. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ლექსიკის სწავლებას და ასევე ინტერაქციის ხელშეწყობას შემსწავლელებსა და მასწავლებლებს შორის. წერა და კითხვა ისწავლებოდა თავიდანვე. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ფონეტიკის სწავლებას. სწავლების პროცესი მიემართებოდა ზეპირი მეტყველებიდან წერითი მეტყველებისაკენ.

აუდიო-ლინგვალური მეთოდი (Audio-Lingual Method) - შედგება ორი ლათინური სიტყვისაგან : *audire*, რაც ნისნავს მოსმენას და *lingua*, რაც ნიშნავს მეტყველებას/ენას. აუდიო-ლინგვალურ მეთოდს მოსმენა-ლაპარაკის მეთოდსაც უწოდებენ.

აუდიო-ლინგვალური მეთოდის სწავლა/სწავლების ძირითად მიზანს წარმოადგენდა არა ენის ცოდნა, არამედ ენის გამოყენების უნარი. უცხოური ენის გაკვეთილზე მოსმენისა და ლაპარაკის უნარის განვითარებას უპირატესობა ენიჭებოდა ვიდრე კითხვისა და წერის უნარების განვითარებას.

გაკვეთილზე გამოიყენებოდა შემდეგი სავარჯიშოები:

- წინადადებების მოდელზე სხვადასხვა ვარიაციებით ვარჯიში;
- ჩასასმელი სავარჯიშოები;
- წარმოთქმაზე საწვრთნელი სავარჯიშოები;
- დიალოგების დასაზეპირებელი სავარჯიშოები და კლასში მათი თამაში.
- აუდიო-ლინგვალური მეთოდის ძირითადი პრინციპები;
- სამეტყველო ენის წინ წამოწევა და მოსმენისა და ლაპარაკის უნარ-ჩვევების უპირატესობა;
- გრამატიკული თემების მიწოდება დიალოგის სახით;
- ენობრივი მოდელის დასწავლა იმიტაციისა და ხშირი გამეორების გზით;

ომშობლიური ენის გამორიცხვა;

პაკუნაშვილი (2014,89) თავის ნაშრომში განმარტავს, რომ აუდიო ლინგვალური მეთოდის გამოყენების დროს გაცნობა ხდება ინდუქციური მეთოდის გამოყენებით. ენის შემსწავლელი გრამატიკულ წესებს ეცნობა ყოველდღიური სიტუაციური დიალოგებისა

და ტექსტების საშუალებით. დიდი ყურადღება ექცევა ასევე სიტყვების სწორად წარმოთქმას.

დავალებაზე ორიენტირებული ენის სწავლება (Task-based Language Learning. (TBLL))

- Task (ინგლ.) წარმოადგენს დავალებას, ამოცანას, რომლის მიზანსაც პიროვნება ლაპარაკის საშუალებით აღწევს. ასეთი დავალების ტიპის განხორციელებისას უპირატესობა ენიჭება ნათქვამის შინაარსსა და მნიშვნელობის გაგებას, ხოლო წინადადების აგებისას გამოყენებული გრამატიკული სტრუქტურების სისწორე მეორეხარისხოვანია.

დავალებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებისას, მასწავლებელი მოსწავლეებს აყენებს სხვადასხვა რეალურ სიტუაციაში, რომელშიც ისინი შეიძლება მომავალშიც აღმოჩნდნენ. მოსწავლეების ამოცანას წარმოადგენს, ენის ადეკვატურად გამოყენებით (კომუნიკაციით) დასახულ მიზანს მიაღწიონ.

დავალებაზე ორიენტირების აქტივობებს შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა სახე, მაგალითად: კითხვა-პასუხი, დიალოგები და როლური თამაშები, დისკუსიები და ა.შ. ძირითადად გამოიყენება წყვილებში ან ჯგუფებში შესასრულებელი აქტივობები, მოსწავლეები უსმენენ თანაკლასელების ლაპარაკს და ყურადღებას ამახვილებენ არა მხოლოდ ნათქვამის შინაარსზე, არამედ გამოყენებულ გრამატიკულ ფორმებზეც. ამ დროს ისინი საკმაოდ აქტიურები და კრეატიულები არიან.

მასწავლებელი ფასილიტატორია და გარკვეული მითითებებით უწევს დახმარებას მოსწავლეებს მისთვის მნიშვნელოვანი სიტყვებისა და ფრაზების დამახსოვრებაში და დავალების წარმატებით შესრულებაში. TBLL - ისას გაკვეთილზე გამოიყენება ძირითადად ავთენტური სასწავლო მასალა, რომლის მოძიებაც ისეთი მედია-საშუალებებიდან არის შესაძლებელი, როგორცაა ტელეგადაცემები, ჟურნალ-გაზეთები, ინტერნეტმასალა, ბლოგები და ა.შ.

დავალებაზე ორიენტირებულ აქტივობებს ერთი რამ აერთიანებთ: ყოველი მათგანი ითვალისწინებს კომუნიკაციური ენის გამოყენებას, სადაც ყურადღება გამახვილებულია უფრო მეტად მნიშვნელობაზე, ვიდრე ენის სტრუქტურაზე. ამ მეთოდისათვის დამახასიათებელი აქტივობებია:

1. გამოტოვებული ინფორმაციის შევსება;

2. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები;
3. მსჯელობაზე ორიენტირებული აქტივობები;
4. როლური (ციციშვილი და სხვ., 2006, 78).

სრული ფიზიკური რეაგირება/პასუხი (Total Physical Response (TPR)) - მეთოდი ემყარება ვარაუდს, რომ სმენითი კომპეტენციის განვითარება წარმოადგენს უცხოურ ენაზე მეტყველების დაწყების უმთავრეს წინაპირობას. TPR - ის მიზანია, განუვითაროს მოსწავლეებს სამეტყველო უნარ-ჩვევები ენის შესწავლის ადრეულ ეტაპზე.

TPR-ის მიხედვით ენის შესწავლა ხდება სხვადასხვა ფიზიკური აქტივობების შესრულებით. მეთოდის თანახმად მოსწავლეები ფიზიკურად რეაგირებენ მასწავლებლის მოწოდებებზე. მოსწავლეებს არ სთხოვენ ილაპარაკონ. მათი მოვალეობაა გაიგონ და დაემორჩილონ მითითებებს. მაგალითად მასწავლებელი ამბობს “sit down” და ჯდება, მოსწავლეებიც სხდებიან. ან როდესაც მასწავლებელი ამბობს “stand up” და დგება, მოსწავლეებიც დგებიან. ბრძანებები ეტაპობრივად რთულდება.

TPR-ის უმთავრეს ტექნიკას გაკვეთილზე წარმოადგენს მასწავლებლის მოწოდებების გამოყენება მოსწავლეთა მოქმედებების სამართავად. ეს ქმედებები აუცილებელია იმითვის, რომ გაკვეთილი იყოს მრავალფეროვანი, რათა შენარჩუნდეს მოსწავლეთა ინტერესი და მოტივაცია.

მოსწავლეები TPR - ში, უპირველეს ყოვლისა, მსმენელისა და შემსრულებლების როლში იმყოფებიან. ისინი ყურადღებით ისმენენ და შემდეგ ფიზიკურად ასრულებენ მასწავლებლის მიერ განხორციელებულ მოწოდებებს.

TPR - ში მასწავლებელს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ის თავად წყვეტს , რა ასწავლოს მოსწავლეებს და თავად არჩევს მასალას, რომელსაც იყენებს გაკვეთილის დროს. სასურველი არ არის TPR მეთოდის ცალკე გამოყენება, რადგან ამ მეთოდის მიხედვით მოსწავლეებს გაუჭირდება ენის სრულყოფილად ათვისება. TPR უფრო დამხმარე ტექნიკაა, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული სხვა მეთოდთა ერთად.

სუგესტოპედია (Suggestopedia) - სუგესტოლოგია (ლათ. Suggestion/suggestion შთაგონება, ბერძ. Logos/οοgος მოძღვრება) მეცნიერების ახალი დარგია, რომელიც გამოიმუშავეს უცხოური ენის მოკლე დროში შესასწავლად და რომლის საფუძვლადაც

წარმოიშვა უცხოური ენის სწრაფად შესწავლის ალტერნატიული მეთოდი სუგესტოპედია.

სუგესტოპედია, როგორც სწავლების მეთოდი არ ცდილობს რაიმე ზეგავლენის მოხდენას შემსწავლელზე. თავად ცნება სუგესტოპედია უფრო მეტად ინგლისურ ცნებასთან “to suggest” (ინგლ. შეთავაზება) არის კავშირში.

სწავლა/სწავლების პროცესში სუგესტოპედიის მიხედვით ხდება ადამიანის ყველა შეგრძნებების გათვალისწინება და ისეთი ელემენტების ჩართვა, როგორცაა თამაში, მუსიკა, მოძრაობა და სავარჯიშოები განტვირთვისთვის.

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მასწავლებელს, რათა საინტერესოდ მიაწოდოს ენის შემსწავლელს სასწავლო მასალა. სუგესტოპედიის კრიტიკოსების აზრით სუგესტოპედიის მეთოდის წარმატებები არ დასტურდება და ენის შემსწავლელს უმეტესწილად დადებითი შედეგები არ აქვთ.

მე-19 საუკუნეში უცხოურ ენებს გრამატიკასა და თარგმნაზე ორიენტირებული მეთოდით ასწავლიდნენ. ეს მეთოდი ცნობილია გრამატიკულ-მთარგმნელობით მეთოდის სახელით. დღეს აქტიურია კომუნიკაციისა და დავალებაზე ორიენტირებული მიდგომები უცხოური ენის ათვისებისას.

2.2. მიდგომები

გრამატიკის ასახსნელად ჰარმერი გვთავაზობს PPP მოდელს. რომელშიც არის სამი საფეხური: პრეზენტაცია (Presentation), პრაქტიკა (Practice) და წარმოება (Production).

პრეზენტაცია (Presentation) გულისხმობს ახალი მასალის ახსნას. ამ ეტაპზე მასწავლებელი ხსნის მასალას მხოლოდ იმიტომ რომ მან გაიგოს მოსწავლეების წინარე ცოდნა. ამისთვის მას შეუძლია მოსწავლეებს აჩვენოს სურათი, აღწეროს რაიმე ინციდენტი და დისკუსია. პრეზენტაციას მოსდევს პრაქტიკა (Practice), რომლის დროსაც მოსწავლეები ცდილობენ თავად ივარჯიშონ შესწავლილ მასალაზე. როგორებიცაა: გუნდური გამეორება, ინდივიდუალური გამეორება და სხვა. ასევე მასწავლებელი ასწორებს მათ მიერ დაშვებულ ყველა შეცდომას. მესამე საფეხური არის წარმოება (Production), რომლის დროსაც მოსწავლეები თავად ადგენენ ახალ

წინადადებებს. მოსწავლეებს შეიძლება დაევალოთ რაიმე თხზულების დაწერა ახალი ენობრივი ერთეულების გამოყენებით. PPP მოდელი აქტიურად გამოიყენება, როგორც ძირითადი საშუალება ახალი ენობრივი ფორმების საშუალებებისას.

გრამატიკის სწავლების ორი ძირითადი მიდგომა არსებობს. ეს არის დედუქციური და ინდუქციური მიდგომა.

დედუქციური მიდგომა ეს არის სწავლების გზა, როდესაც ხდება ჯერ გრამატიკული წესების პრეზენტაცია და შემდეგ მოსდევს მაგალითები.

ხოლო ინდუქციურ მიდგომას წესების აღმოჩენის სწავლებას უწოდებენ. იგი, პირიქით, მაგალითიდან წესისკენ მოდის. მასწავლებელი ხსნის გრამატიკულ ასპექტს მაგალითების გამოყენებით და შემდეგ მოსწავლეებს ავალებს მათზე დაყრდნობით გრამატიკული წესების შემუშავებას.

ინდუქციური მიდგომა დედუქციური მიდგომისგან განსხვავებით მეტ დროს მოითხოვს. დედუქციური მიდგომის გამოყენება მიზანშეწონილია, თუ გრამატიკული მოვლენა მარტივია. მაღალ კლასებში მიზანშეწონილია დედუქციის გამოყენება. ნებისმიერი გრამატიკული საკითხის ახსნამდე მასწავლებელს შეუძლია ჯერ მოსწავლეები შეამზადოს, შემდეგ აუხსნას ახალი მასალა.

გრამატიკის სწავლების ძირითადი მიზანია სტუდენტების ცოდნა, თუ როგორ აწარმოოს ზუსტი წინადადებები ზეპირად და წერილობით. დედუქციური და ინდუქციური მიდგომის მიზანი არის გრამატიკული სწავლება, მაგრამ სხვადასხვა გზით. ინდუქციური მიდგომა უფრო იდეალურია. მიუხედავად ამისა, ყოველთვის არ არის შესაძლებელი ეს მიდგომა ყველა საკლასო ოთახში განხორციელდეს, გარკვეული რესურსების გამო. ინდუქციური მიდგომის დროს მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში ან მცირე ჯგუფებში და ეძებენ გრამატიკულ წესებს.

ინდუქციური სწავლებისას ინფორმაციის ნაკადის მიმართულება ზოგადია. გაკვეთილი იწყება ექსპერიმენტით, ის ორიენტირებულია მოსწავლეების შესაძლებლობების შესახებ. არსებობს ინდუქციური სწავლების მრავალი უპირატესობა: ცოდნის მიღება ხდება ბუნებრივად და სტუდენტებს მოუწოდებენ გამოიყენონ თავიანთი აზროვნების უნარი და წინასწარი ცოდნა. ეს მეთოდი არის აღმოჩენის და შეიძლება იყოს შრომატევადი, ასევე მოითხოვს მოსწავლეების ფანტაზიას

და შემოქმედებას. ინდუქციური სწავლება იდეალურია მცირე ჯგუფებში და გამოცდილი მასწავლებლებისთვის, რომლებმაც იციან, თუ როგორ უნდა ჩაატარონ გაკვეთილი.

დედუქციური მეთოდი არის ტრადიციული მეთოდი სწავლა/სწავლების პროცესში. სწავლა იწყება ინფორმაციის დანერგვით და პრეზენტაციით., რასაც მოყვება საქმიანობა. ინფორმაცია ეფუძნება ფაქტებს. მეთოდი მარტივად გამოიყენება და ისწავლება ინფორმაცია. მეთოდი მოითხოვს მასწავლებლის მომზადებას. ეს მეთოდი ეფექტურია უფრო დიდი ჯგუფებისთვის.

ორივე მეთოდი გამოიყენება დღეს გაკვეთილზე, ინდუქციური მეთოდი კი უფრო გამოაცოცხლებს მთელ კლასს და უფრო მოტივირებულები იქნებიან სწავლის მიმართ. ორივე მიდგომა განსხვავდება ერთმანეთისაგან:

- ინდუქციური სწავლება ზოგადია და უფრო მეტად ორიენტირებულია მოსწავლეზე;
- დედუქციური მეთოდი სპეციფიკურია და ორიენტირებულია მასწავლებელზე ;
- დედუქციური მიდგომისას ხდება ტესტები ახსნის შემდეგ, ხოლო ინდუქციურის დროს ტესტი ხდება კონცეფციის განხილვის დაწყებამდე;
- დედუქციური მიდგომა გამოიყენება დიდი საკლასო ოთახებში, ხოლო ინდუქციური მეთოდი მცირე ჯგუფებში გამოიყენება;
- დედუქციური არის ტრადიციული, სტრუქტურირებული და პროგნოზირებადი, ხოლო ინდუქციური მეთოდი პერსონალიზებულია, ცნებები ადვილად ახსოვდათ და გაიგეს.
- დედუქციურის დროს ინფორმაცია მოდის კონკრეტული წყაროდან და მოსწავლეებს პირდაპირ მიაწვდის, ხოლო ინდუქციური მეთოდი არის აღმოჩენის მიდგომა და ეყრდნობა სტუდენტის პერსპექტივას ან კონცეფციის გაგებას.

თავი III. გრამატიკის საკითხების სწავლება ინდუქციური და დედუქციური მეთოდებით

თანამედროვე ინგლისურის გაკვეთილზე აუცილებელია, რომ მოსწავლეებს მათთვის საინტერესო თემები და შინაარსები მიეწოდოს. გრამატიკა და ტექსტი ერთმანეთთან ლოგიკურად უნდა იყვნენ დაკავშირებული, რადგან გრამატიკაზე მუშაობა საინტერესო შინაარსის გარეშე არ არის ეფექტური. მნიშვნელოვანია ის, რომ კონკრეტული თემა რომელიმე გრამატიკულ მოვლენას კი არ უნდა ეძღვნებოდეს, არამედ რომელიმე თემის შესახებ შინაარსის გადმოცემას უნდა ემსახურებოდეს. ენის შესწავლის პროცესში გრამატიკას მხოლოდ დამხმარე საშუალების როლი უკავია და მისი სტრუქტურების შინაარსობრივად საინტერესო თემებთან დაკავშირება შედეგის მიღწევის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. კონკრეტულ გრამატიკულ საკითხებზე მუშაობის დროს თავდაპირველად მოსწავლეებისთვის საინტერესო შინაარსების დამუშავება ხდება. ამიტომ მოსწავლეს თემატურად მრავალფეროვანი და ამავდროულად გასაგები ტექსტები უნდა მიეწოდოს.

გრამატიკული საკითხების ახსნა, ასევე, შესაძლებელია ორი ძირითადი მეთოდის გამოყენებით - დედუქციის და ინდუქციის გზით.

დედუქციური მეთოდი, როგორც უკვე ავლინებთ, ეს არის სწავლების გზა, როდესაც ხდება ჯერ გრამატიკული წესების პრეზენტაცია და შემდეგ მოსდევს მაგალითები. გრამატიკული წესის გაგების მომენტში მოსწავლეებს პასიური როლი უკავიათ, გაკვეთილი მასწავლებელზეა ორიენტირებული და აქვს ფრონტალური გაკვეთილის სახე. ეს მიდგომა გრამატიკაზე მუშაობის ტრადიციული მეთოდია. დედუქციური მეთოდის მიხედვით, მოსწავლეები ეცნობიან გრამატიკულ წესებს და მის საფუძველზე კონკრეტულ მაგალითებზე მუშაობენ (მიმართება: აბსტრაქტულიდან კონკრეტულსკენ).

ინდუქციური მეთოდი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, თავად დაინახონ გრამატიკული წესები კონკრეტული მაგალითების დახმარებით და თავად ჩამოაყალიბონ გრამატიკული წესი (მიმართება: კონკრეტულიდან აბსტრაქტულსკენ)

ინდუქციური მეთოდის თანახმად მოსწავლეებს გრამატიკული წესი მზა სახით არ მიეწოდება. მოსწავლეებმა უნდა იაქტიურონ და მაგალითების საშუალებით თავად მიაგნონ გრამატიკულ კანონზომიერებას და თავადვე ჩამოაყალიბონ გრამატიკული წესი. მასწავლებელი ამ პროცესში ნაკლებად აქტიურია. ის აკვირდება მუშაობის პროცესს და ეხმარება მოსწავლეებს საჭიროების შემთხვევაში. ეს მიდგომა გრამატიკის აღმოჩენითი სწავლის სახელწოდებითაა ცნობილი.

ხარისხიანი სწავლებისთვის აუცილებელია მასწავლებელმა გამოიყენოს ორივე მეთოდი, როგორც ინდუქციური, ასევე დედუქციური. ინდუქციური და დედუქციური მეთოდები გადაჯაჭვულია ერთმანეთთან და ისინი ერთმანეთს ავსებენ.

3.1. ინდუქციური მეთოდი

ინდუქციური სწავლება წარმოადგენს ზოგად ტერმინს, რომელიც თავის თავში მოიაზრებს სწავლების სხვადასხვა მიდგომას რომელთა შორისაა: „კვლევაზე დაფუძნებული სწავლება“ (Inquiry Learning), „პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება“ (Problem-based Learning), „პროექტზე დაფუძნებული სწავლება“, ე.წ. „პროექტის მეთოდი“ (project Method), „შემთხვევის ანალიზზე („ქეისზე“) დაფუძნებული სწავლება“ (Case-based Teaching) და „აღმოჩენით სწავლა“ (Discovery Learning). (ნ. დოლიძე, 2017, 9)

ინდუქციური მეთოდები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, სიღრმისეულად იყვნენ ჩართულები გაკვეთილზე. თვითონ შუძლიათ გაანალიზონ, როგორც პროცესი ასევე შედეგები. მოსწავლეები მეტად მოტივირებულები და აქტიურები არიან. მათ ნაკლებად ბეზრდებათ სწავლა, რადგან ისინი აქტიურები არიან სწავლის პროცესში.

ინდუქციური მიდგომის გამოყენებისას მოსწავლეები ერთვებიან დისკუსიაში და მუშაობენ ჯგუფებში, რომელიც სწავლის პროცესს თანამშრომლობით ხასიათს ანიჭებს. ზოგადად, მასწავლებელი აყენებს კონკრეტულ საკითხს/პრობლემას, რომელიც მოითხოვს მოსწავლეების გადაწყვეტას. მოსწავლეები ცდილობენ საკითხის/პრობლემის გადაწყვეტას. ასევე ერთვება მასწავლებელი, საჭირო ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს და ეხმარება მათ, რომ თავად გაიაზრონ, გამოიტანონ დასკვნები და ისწავლონ ახალი

საკითხი. შეიძლება ითქვას, რომ ინდუქციური მეთოდის გამოყენება მოსწავლეების მოტივირების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა.

სწავლების პროცესში ინდუქციური მეთოდების გამოყენების მოსალოდნელი შედეგები შესაძლებელია კონფუცის სიტყვებით გამოვხატოთ: „*მე გავიგონე და დამავიწყდა, მე დავინახე და დამამახსოვრდა, მე გავაკეთე და გავიგე.*“

მოსწავლეებისთვის სწავლება ხდება სახალისო პროცესი. ისინი თანამშრომლობენ როგორც სხვა მოსწავლეებთან ასევე მასწავლებელთან. ეს კი ხელს უწყობს ცოდნის შეძენას და სწავლაში ჩართულობას. ხდება ინდივიდუალური და ჯგუფური შეჯამება, სხვადასხვა აზრის გაზიარება, დიალოგი, კითხვა-პასუხი და ა.შ.

ხოლო მოსწავლეები არიან აქტიურები ინდუქციური მეთოდის დროს, ისინი აღმოაჩენენ ახალ წესებს და იძენენ სხვადასხვა უანრ-ჩვევებს. ისინი აანალიზებენ ახალ მასალას წინარე ცოდნის დახმარებით.

კვლევაზე დაფუძნებული სწავლება - ისეთ მიდგომად არის მიჩნეული, სადაც მოსწავლეები არამარტო ცოდნას ითვისებენ და კონკრეტულ უნარს იძენენ, არამედ საკითხს სიღრმისეულად სწავლობენ და მოსწავლეები არიან აქტიურად ჩართულები.

კვლევაზე დაფუძნებული სწავლება კარგად უნდა იყოს სტრუქტურირებული. ძირითადად მოსწავლეებს უსმევენ კითხვებს, ისინი წყვეტენ პრობლემას, აკვირდებიან და აყალიბებენ მოსაზრებებს.

აღმოჩენითი სწავლა - აღმოჩენითი სწავლისას მოსწავლეებს უსვამენ კითხვას და ისინი პასუხობენ. ასევე უყურებენ არსებულ პრობლემას, რომელიც უნდა გადაწყვიტონ. დაკვირვების შედეგად უნდა გამოიტანონ დასკვნები, გააკეთონ აღმოჩენა და შეიძინონ ახალი ცოდნა. ასეთი მიდგომის დროს მასწავლებელი ამყარებს უკუკავშირს მოსწავლეებთან, თუმცა კონკრეტულ მითითებებს არ აძლევს.

მასწავლებლები უფრო ხშირად მიმართავენ ე.წ. **„გამდლოით აღმოჩენის“ მეთოდს**. (guided discovery), სადაც მოსწავლეები იღებენ მიმართულებას მასწავლებლისგან.

ჯ.ბრუნერის აზრით, „აღმოჩენით სწავლა“ ავითარებს მოსწავლეთა ინტუიციას, წარმოსახვას და შემოქმედებითობას.

იმისთვის, რომ „აღმოჩენით სწავლის“ პროცესი სათანადოდ წარიმართოს, მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ არსებულ საკითხზე საბაზო ცოდნა და პრობლემის

გადაწყვეტის უნარი. კრიტიკოსების აზრით, ასეთი სწავლება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ეს სწავლება მოითხოვს რესურსებს და მომზადებას, რომ სათანადო შედეგები იქნეს მიღწეული.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება - ამ მიდგომის დროს მოსწავლეებს აქვთ რეალური პრობლემა, რომელიც უნდა გადაჭრან. მასწავლებელი ეხმარება მათ. მოსწავლეები ჯგუფურად მუშაობენ ამისთვის იყენებენ არსებულ ცოდნას და აყალიბებენ სამუშაო გეგმას. გამოიყენება დისკუსია როგორც ცალკე ჯგუფებში, ასევე მთელ ჯგუფთან. მოსწავლეები თვითონ მიდიან დასკვნამდე. მოსწავლეები არიან აქტიურად ჩართულები, რაც დადებითად მოქმედებს სწავლის შედეგზე.

შემთხვევაზე („ქეისზე“) დაფუძნებული სწავლება - XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს სათავეს, თუმცა დრესაც დიდი წვლილი მიუძღვის ანალიტიკური აზროვნებისა და პრობლემების გადაწყვეტის უნარის შექმნაში.

მოსწავლეები აანალიზებენ „ქეისებს“, ცალკეულ შემთხვევებს, რომლებიც გულისხმობს პრობლემის გადაწყვეტას და გადაწყვეტილების მიღებას. მოსწავლეები ეჩვევიან ლოგიკურ მსჯელობას და უვითარდებათ კრიტიკული აზროვნება.

ეს მიდგომა შეიძლება არ ჩაითვალოს ყოველთვის ინდუქციურ მიდგომად. ეს მასწავლებელზეა დამოკიდებული, თუ როგორ განახორციელებს მას.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება - მოსწავლეები ეყრდნობიან საკუთარ ცოდნას, ახდენენ მის ინტეგრირებას და ახალ ცოდნას იძენენ. მასწავლებლები ისეთ პროექტებს არჩევენ, რომლებიც არის შესაბამისი სასწავლო პროგრამის მიზნებთან.

პროექტზე მუშაობა სასწავლო პროგრამის ნაწილია და მას გარკვეული დრო ეთმობა. მისი განხორციელება არის ძალიან შრომატევადი და მის განხორციელებისთვის სჭირდება გამოცდილი, კვალიფიციური მასწავლებელი. მასწავლებელი მნიშვნელოვანია, რათა სწავლის სათანადო შედეგები იქნეს მიღწეული.

როგორც ავღნიშნეთ, ინდუქციური სწავლების სხვადასხვა მიდგომა არსებობს. ყველაზე მთავარია მასწავლებლის როლი სწავლა/სწავლების პროცესში. სწორედ მან, მასწავლებელმა უნდა დაგეგმოს გაკვეთილი და უნდა გააჩნდეს მიზანი. ამ მიზნის მისაღწევად კი უნდა განახორციელოს შესაბამისი ამოცანები.

3.2. დედუქციური მეთოდით

დედუქციური მეთოდი არის სწავლების ისეთი მეთოდი, როდესაც ჯერ ხდება გრამატიკული წესების პრეზენტაცია და შემდეგ მაგალითებით მუშაობა, ანუ დედუქციამდის წესიდან მაგალითისკენ (ზოგადიდან კერძოსაკენ).

დედუქციური მეთოდის გამოყენებისას მიშელ სვონი (Thornbury, 1999, 32) გვაძლევს გრამატიკული წესების ახსნის შემდეგ დირექტივებს:

1. სიმართლე: წესები უნდა იყოს ჭეშმარიტი;
2. შეზღუდვა: წესები ნათლად უნდა გვიჩვენებდეს მოცემული ფორმის გამოყენების ლიმიტს/ზღვარს;
3. სიცხადე: წესები აუცილებლად უნდა იყოს ყველასათვის გასაგები;
4. სიმარტივე: წესები უნდა იყოს მარტივი;
5. ცოდნა: წესები უნდა მოიცავდეს ენის შემსწავლელებისთვის უკვე ცნობილ ცნებებს;
6. შესაბამისობა: წესები, რა თქმა უნდა, უნდა იყოს სათანადო (რელევანტური).

3.3. ინდუქციური და დედუქციური მეთოდების უპირატესობები და ნაკლოვანებები

ზოგადად არ არსებობს ისეთი მეთოდი ან მიდგომა, რომელსაც არ გააჩნდეს დადებითი და უარყოფითი მხარე. რა თქმა უნდა, დედუქციურ და ინდუქციურ მეთოდსაც გააჩნია როგორც დადებითი მხარე ასევე უარყოფითი მხარე.

დედუქციური მიდგომის უპირატესობები:

- დროის დაზოგვა - ბევრი წესი შეიძლება განიმარტოს მარტივად და სწარაფად. შეგვიძლია დრო დავუთმოთ მეტ პარაქტიკას და გამოყენებას;
- მოზარდები აცნობიერებენ შემეცნებით უნარის როლს ენის შეძენისას;

- ის ადასტურებს მოსწავლეების მოლიდინს საკლასო სწავლების შესახებ, განსაკუთრებით იმ მოსწავლეების, რომლებსაც გააჩნიათ ანალიტიკური აზროვნება;
- ის საშუალებას აძლევს პედაგოგს წინასწარ მოამზადოს საკითხი მოსწავლეებისთვის.

დედუქციური მიდგომის ნაკლოვანებები:

- პრეზენტაციით დაწყებული გაკვეთილი შეიძლება ზოგიერთი მოსწავლისთვის იყოს გაუგებარი, შესაძლოა მოსწავლისთვის ზოგიერთი გრამატიკული ტერმინოლოგია იყოს უცხო და ვერ ჩაწვდეს მთავარ აზრს;
- გრამატიკის ახსნა პრეზენტაციის სახით ხელს უწყობს, რომ მასწავლებელი იყოს მთავარი აქტიური მონაწილე სწავლის/სწავლების პროცესში საკლასო ოთახში;
- გრამატიკის ახსნა პრეზენტაციის სახით იშვიათად არის დასამახსოვრებელი;
- დედუქციური მიდგომა ხელს უწყობს რწმენას, რომ ენის სწავლება არის მარტივი წესების ცოდნით. (Thornbury, 1999,30).

ინდუქციური მიდგომის უპირატესობები:

- მოსწავლეები თვითონ აღმოაჩენენ წესს, მთარგმნენ იმ ცოდნას, რომელიც არსებობს მათ გონებაში. ასეთი წესების აღმოჩენა კი არის მნიშვნელოვანი, დასამახსოვრებელი და მოქნილი მოსწავლეებისთვის;
- გონებრივი ძალისხმევის ჩართულობა უზრუნველყოფს უფრო მაღალ შემეცნებით სიღრმეს, რომელიც უზრუნველყოფს, რომ იყოს უფრო დასამახსოვრებელი;
- მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სწავლის პროცესში. უფრო მეტიც, ისინი უფრო ყურადღებიანები და მოტივირებულები არიან;

- ეს არის მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობებს. განსაკუთრებით შესაფერისია იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც მოსწონს ასეთი გამოწვევები;
- თუ პრობლემის გადაჭრა ხდება ერთობლივად და სამიზნე ენაზე, მოსწავლეები მიიღებენ დამატებითი ენობრივი პრაქტიკის შესაძლებლობას;
- მოსწავლეების სამუშაოები ამზადებს მოსწავლეებს თვითრელიზაციისთვის. ეს კი ხელს უწყობს ავტონომიის ხელშეწყობას.

ინდუქციური მიდგომის ნაკლოვანებები:

- წესებზე მუშაობის დროს დახარჯული დრომ და ენერჯიამ შეიძლება მოსწავლეები შეიყვანონ შეცდომაში, რომ წესები არის ენის სწავლების მიზანი, ვიდრე საშუალება;
- წესის შემუშავების დრო შეიძლება იყოს იმ დროის ხარჯზე, რომელიც დახარჯულია წესით გარკვეულ პროდუქტიულ პრაქტიკაში;
- მოსწავლეებს შეიძლება აღმოაჩინონ არასწორი წესები, ან მათი წესები შეიძლება იყოს ძალიან ფართო ან ძალიან ვიწრო. ეს არის ძალიან საშიში;
- გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელს შეუძლია მოსთხოვოს მოსწავლეებს მძიმე მოთხოვნები. მასწავლებელმა ყურადღებით უნდა აირჩიოს და ორგანიზება გაუკეთოს მონაცემებს ისე, რომ გაუძღვეს მოსწავლეებს, რომ შეიმუშაონ ფორმულირებული წესი;
- მიუხედავად ყურადღებით ორგანიზებული მონაცემებისა არსებობს ბევრი ენა, რომლებიც ეწინააღმდეგება მარტივი წესის ფორმულირებას;
- ინდუქციური მიდგომა ხელს უშლის იმ მოწავლეებს, რომლებსაც აქვთ თავიანთი სწავლის სტილი ან მათი წარსული სწავლის გამოცდილება (ან ორივე), მათ ურჩევნიათ მარტივად უთხრან წესები. (Thornbury, 1999,54-55).

3.4. მასწავლებლის როლი იდნუქციური და დედუქციური მეთოდის სწავლებისას

ნებისმიერი საგნის სწავლებას პრაქტიკული მიზნების გარდა გააჩნია აღმზრდელობითი ხასიათის მიზნები და ამოცანები. რომელთა განხორციელებაში ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებელს. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი მოსწავლის როლი სწავლების პროცესში. ზოგადად, ბავშვის აღზრდა და განათლება მიმდინარეობს გაკვეთილზე, რომელშიც მონაწილეობს მასწავლებელი და მოსწავლე. მასწავლებლის ძირითადი მოვალეობაა სწავლება.

„სწავლება არის მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის გარკვეული ცოდნა-ჩვევათა გადაცემისა და მოსწავლეთა მიერ ამ ცოდნა-ჩვევათა შეთვისების ორგანიზებული ერთიანი პროცესი“ [ჭკუასელი, 1986:103] სწორედ ამ პროცესის წამყვანია მასწავლებელი, რომელსაც თანამედროვე პედაგოგიკა მთელ რიგ მოთხოვნებს უყენებს:

- თუ როგორი თვისებები უნდა გააჩნდეს მას;
- როგორი პიროვნული ღირსებებით უნდა იყოს აღვსილი;
- რა პროფესიული უნარ-ჩვევები უნდა ახასიათებდეს მას.

ყველაზე მნიშვნელოვანია სიყვარული. მასწავლებელს უნდა უყვარდეს მოსწავლეები და უნდა უყვარდეს ის საგანი, რომელსაც ასწავლის. უმჯობესია ორივე თანაბრად უყვარდეს. მასწავლებელი თავის მოსწავლეებზე და საგანზე შეყვარელი ყოველთვის მიაღწევს წარმატებას.

პედაგოგის ოსტატობა ხშირად ემსგავსება მსახიობის ხელოვნებას (ბასილაძე, აბზიანიძე, 2009:68), ვინაიდან მასწავლებელი გაკვეთილზე სხვადასხვა მეთოდის თუ აქტივობის გამოყენებისას გვევლინება, როგორც:

- დამხმარე/ხელშემწყობი (facilitator) მასწავლებელი ცდილობს მეტი დამოუკიდებლობა მიანიჭოს მოსწავლეს, თავის მიზნად მიაჩნია მათთვის სწავლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და არა სწავლის პროცესის მკაცრი კონტროლი;

- ორგანიზატორი (organizer) მასწავლებლის მოვალეობაა სასწავლო პროცესში შემავალი აქტივობების დაგეგმვა და მათი ორგანიზება. იგი ამზადებს მოსწავლეებს კონკრეტული აქტივობებისთვის, აკვირდება მათი გაგების ხარისხს, აჯგუფებს მათ აქტივობის შესაბამის ჯგუფებად და იღებს აქტივობის დაწყების და დასრულების გადაწყვეტილებას;
- შემფასებელი/ექსპერტი (assessor) მასწავლებელი ასწორებს მოსწავლეების მიერ დაშვებულ შეცდომებს სამართლიანად და ტაქტიკურად;
- მოკარნახე (prompter) მასწავლებელი ერთვება საკომუნიკაციო აქტივობებში, მხოლოდ მაშინ, როდესაც ენის შემსწავლელი ვერ ახერხებენ აზრების თავის მოყრას. იგი უბიძგებს კომუნიკაციისკენ მცირედი კარნახით;
- მონაწილე (participant) მასწავლებლის როლია აქტიურად იყოს ჩართული ყველა სასწავლო აქტივობაში, განსაკუთრებით უმცროსი ასაკის ენის შემსწავლელებთან. ვინაიდან, ამ ასაკის ენის შემსწავლელი ეუფლებიან ენას აქტივობების მეშვეობით. მასწავლებელი შესრულებულ აქტივობებში ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა, რომლის ქმედებების ზუსტ იმიტირებას ახდენენ ამ ასაკის მოსწავლეები;
- ინფორმაციის წყარო (resource) მასწავლებელი წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს. რადგან მასწავლებლის ცოდნა არ არის განუსაზღვრელი და, ამავდროულად, საჭიროა მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ დამოუკიდებელი ქმედებების უნარი, მასწავლებელი უთითებს სახელმძღვანელოს, ინტერნეტს, რათა შეძლონ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვება;
- მრჩეველი/კონსულტანტი (tutor) მასწავლებელი მუშაობს ინდივიდუალურად ან პატარა ჯგუფთან, აძლევს რჩევებს და უთითებს ამა თუ იმ დავალების შესრულების სათანადო გზას;
- დამკვირვებელი (observer) მასწავლებელი გადაადგილდება საკლასო ოთახში და აკვირდება თითოეული მოსწავლის მუშაობის პროცესს.

დედუქციურ და ინდუქციურ მეთოდი გარკვეული უპირატესობებით სარგებლობს. ორივე მეთოდის გამოყენების პროცესში განსხვავდება მასწავლებლის როლი. დედუქციური მეთოდის დროს უპირატესობა ენიჭება მასწავლებელს, ის უხსნის

ენის შემსწავლელებს და მოსწავლეები პასიურები არიან უფრო, ხოლო ინდუქციური მეთოდის დროს მოსწავლეები არიან აქტიურები და მასწავლებელი პასიურია.

როდესაც სწავლების ინდუქციური მეთოდების გამოყენებაზე ვსაუბრობთ, არ გამოირიცხება მზა ინფორმაციის მიწოდების საჭიროება და არ იგულისხმება მხოლოდ „თვითაღმოჩენაზე“ დაყრდნობა. მასწავლებელს მრავალი მნიშვნელოვანი როლი აკისრია: ახსნა-განმარტება, სასწავლო აქტივობის გაძლიერება, დახმარება, ინფორმაციის მიწოდება და ა.შ. როგორც ბრესფორდი (Bransford) აღნიშნავს, მას შემდეგ, რაც მოსწავლეები თავად შეეჭიდებიან ამათუ იმ პრობლემის გადაწყვეტას, და გარკვეულ დონეზე გაითავისებენ მას, მასწავლებლის მიერ ინფორმაციის მიწოდება მეტად ღირებულია. [ნ. დოლიძე, 2017, 16]

როგორც უკვე აღვნიშნე, დედუქციური მეთოდი მასწავლებელზე ორიენტირებულია. ხოლო ინდუქციური მეთოდი კი მოსწავლეზე ორიენტირებულია. ორი მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ სწავლა/სწავლების პროცესში. მასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოს რომელია შესაფერისი მეთოდი მისი კლასისთვის და ამის შემდეგ გადაწყვიტოს თუ რომელი მეთოდით იხელმძღვანელოს კლასში. მეთოდის არჩვის დროს მასწავლებელმა უნდა განიხილოს მთელი რიგი ფაქტორები:

- როგორ უნდა იყოს სწავლა? მოსწავლეები იქნებიან უფრო აქტიურები, როდესაც მასწავლებელი გამოიყენებს ინდუქციურ მიდგომას.
- რა სიღრმის გაგებაა აუცილებელი? მოსწავლეები ხშირად უფრო მაშინ იგებენ, როდესაც გამოყენებულია ინდუქციური მეთოდი სწავლებისას.
- დროის ხანგრძლივობა. დედუქციური მიდგომა ხდება უფრო სწრაფ ტემპში.

როგორც ვხედავთ, სწავლის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია ორივე მიდგომა. ორივე განსხვავებული მიდგომაა სწავლა/სწავლების პროცესში. ორივე მოითხოვს მასწავლებლის და მოსწავლის ყოფნას. ასევე ორივეში განსხვავდება მასწავლებლის და მოსწავლის როლი.

კვლევის მიმოხილვა

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი ნაწილის მიზანია ინდუქციური და დედუქციური მეთოდით ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების სწავლების პრაქტიკის კვლევა. ჩვენი კვლევის მიზნის განსახორციელებლად კი დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- ✓ განვსაზღვროთ უჭირთ თუ არა მოსწავლეებს ინგლისური ენის გრამატიკა;
- ✓ გამოვიკვლიოთ, თუ რომელ მეთოდს იყენებს ქართველი მასწავლებლები ინგლისური ენის გრამატიკის ახსნის პროცესში;
- ✓ განვსაზღვროთ, თუ რომელი მეთოდით ახსნილი გრამატიკული საკითხები უადვილდებათ მოსწავლეებს, ინდუქციურით თუ დედუქციურით.
- ✓ გამოვიკვლიოთ, თუ რომელი მეთოდის სავარჯიშოები არის მოსწავლეებისთვის მისაღები;
- ✓ გამოვიკვლიოთ, თუ რომელი მეთოდით არის უფრო სახალისო ინგლისური ენის გრამატიკის სწავლება.

კვლევის მეთოდებად გამოყენებულია:

- ✓ თვისებრივი კვლევის მეთოდი - საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება.
- ✓ რაოდენობრივი კვლევის მეთოდები - კითხვარი საბაზო საფეხურის მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის;

(მოსწავლეების კითხვარი მოიცავს დახურულ კითხვებს, ხოლო მასწავლებლების კითხვარში არის როგორც დახურული კითხვები ასევე ღია კითხვები).

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს თბილისის საჯარო სკოლის და კერძო სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეები და ინგლისური ენის მასწავლებლები.

კვლევის შეზღუდვა: კვლევა ტარდებოდა მხოლოდ თბილისის სკოლებში და უარის თქმა კვლევაში მონაწილეობაზე.

კვლევის ჩატარების პროცესის აღწერა:

- ✓ კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა სათანადო ლიტერატურის გაცნობა, თეორიული საკითხების მოძიება საკვლევ თემასთან დაკავშირებით.
- ✓ კვლევის მეორე ეტაპზე გადაწყვეტიტით ინგლისური ენის საბაზო საფეხურზე გაკვეთილების პროცესზე დაკვირვება. სულ დავაკვირდით 15 საბაზო საფეხურის გაკვეთილს.
- ✓ კვლევის მესამე ეტაპზე გამოიკითხა მასწავლებლები და მოსწავლეები. კითხვარი შედგენილი იყო სრულიად გასაგებად. გამოკითხვის დაწყებამდე რესპოდენტებს ავუხსენით, რომ კითხვარის მიზანი იყო სწავლების მეთოდის შეფასება და ის არ აფასებდა რესპოდენტებს. რა თქმა უნდა, კითხვარში სრულიად იყო დაცული ანონიმურობა. გამოკითხვაში სულ მონაწილეობა მიიღო 120 რესპოდენტმა: მათ შორის 15 ინგლისური ენის მასწავლებელი იყო, რომლებიც ასწავლიან თბილისის 87, 21, 156 საჯარო სკოლაში და კერძო „მწვანე სკოლაში“. კვლევაში ასევე მონაწილეობა მიიღო საბაზო საფეხურის მოსწავლეებმა (მათი რაოდენობა იყო 105). რომლებიც სწავლობენ თბილისის 87, 21, 156 საჯარო სკოლაში.
- ✓ კვლევის მეოთხე ეტაპზე მოხდა კვლევის შედეგების დამუშავება და მიღებული ინფორმაციის გაანალიზება.

გაკვეთილის პროცესში დაკვირვების და გამოკითხვის შედეგად მიღებული შედეგები დამეხმარა გამერკვია და ნათლად წარმომეჩინა დღევანდელ სკოლებში არსებული რეალობა.

კვლევის ანალიზი

საკაკვეთილო პროცესზე დაკვირვება

ჩვენს კვლევის პერიოდში გადაწყვეტიტით დაკვირვებოდით ინგლისური ენის გაკვეთილის პროცესს. იმისათვის, რომ ნათელი ყოფილიყო ჩვენთვის დღევანდელი საჯარო სკოლების რეალობა. წავაწყდით გარკვეულ დაბრკოლებებს, ძირითადად მასწავლებლებს არ სურდათ ჩვენი გაკვეთილზე დაკვირვება სხვასხვა მიზეზით მეუბნებოდნენ უარს. მიუხედავად ამისა, ქალაქ თბილისის 87-ე საჯარო სკოლაში

დაგვრთეს ნება რომ დავსწრებოდით ინგლისური ენის გაკვეთილის პროცესს. სულ დავაკვირდით 15 გაკვეთილს საბაზო საფეხურზე. ვაკვირდებოდით არა მარტო ერთი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს არამედ სამი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს. ჩემი სამაგისტრო თემიდან გამომდინარე გაკვეთილები ძირითადად გრამატიკული მასალის ახსნაზე იყო ორიენტირებული.

როდესაც გაკვეთილი უშუალოდ დაკვირვების პროცესში იყო, მასწავლებლებმა დაგვემეს გაკვეთილები ძირითადად ახალი მასალის ახსნით და არა რაიმე თემატურად ანუ წიგნიდად. როდესაც ვთხოვეთ რომ ჩვეულებრივად ჩატარებინათ როგორც ატარებენ ხოლმე, მითხრეს ესეთი პასუხი: „წიგნში ზოგჯერ თითქმის არ არის გრამატიკული საკითხი და რადგან თქვენ გაინტერესებთ გრამატიკული მასალის მიწოდება, ჩვენ ვცდილობთ დაგანახოთ თქვენთვის საინტერესო გაკვეთილები.“

გაკვეთილები ძირითადად ჩატარდა როგორც ინდუქციური მეთოდით ასევე დედუქციური მეთოდითაც. ძირითადად მასწავლებლები აღწევდნენ დასახულ მიზნებს, მაგრამ გამოვლინდა ხარვეზებიც, რომლის გამოსწორებაზეც უნდა იფიქროს თითოეულმა მასწავლებელმა.

როდესაც გაკვეთილი ტარდებოდა ინდუქციური მეთოდით, მოსწავლეები იყვნენ ძალიან აქტიურები და სიამოვნებდათ სწავლის პროცესი, მაგრამ იქვე ვამჩნევდი დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეების დაბნეულობას, რომლებიც ვერ იგებდნენ ზოგიერთ აქტივობებს და არ ხდებოდა დაშვებული შეცდომების გამოსწორება.

ხოლო როდესაც გაკვეთილი ტარდებოდა დედუქციური მეთოდით, მოსწავლეების უმეტესობა იყო პასიური მსმენელები და თითქმის ნახევარი კლასი არ იღებდა მონაწილეობას სწავლის პროცესში. მხოლოდ აქტიური მოსწავლეები აქტიურობდნენ.

ჩვენს დავაკვირდით ინგლისური ენის 15 საგაკვეთილო პროცესს. აქედან 10 გაკვეთილი ჩატარდა დედუქციური მეთოდით, ხოლო 5 გაკვეთილი ინდუქციური მეთოდით. მასწავლებელი, როდესაც იყენებდა ინდუქციურ მეთოდს ყველა მოსწავლე იყო ჩართული სწავლების პროცესში. ხოლო როდესაც იყენებდა დედუქციურ მეთოდს, იყო კლასში მოსწავლეები, რომლებიც საერთოდ არ იღებდნენ მონაწილეობას საგაკვეთილო პროცესში. ზოგადად, მოსწავლეებს არ უჭირდათ ახალი მასალის გაგება

და წინადადებებში სვამდნენ ახალ გრამატიკულ კონსტრუქციებს. მაგრამ, როდესაც მასწავლებელი სთხოვდა რაიმე სიტუაციაში გამოეყენებინათ ახალი გრამატიკული მასალა ლაპარაკის დროს. სწორედ მათ უჭირდათ პრაქტიკული გამოყენება. ხოლო რაც შეეხება სალაპარაკო ენას, გაკვეთილის პროცესში ხშირად ლაპარაკობდნენ ქართულად და იშვიათად იყენებდნენ ინგლისურ ენას.

როდესაც გაკვეთილს ვესწრებოდით, სულ ვფიქრობდით გაკვეთილის მიზანზე და შედეგზე. გაკვეთილის პროცესში იყო მოსწავლეების მიერ დაშვებული შეცდომები ახალ გრამატიკულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ არ ხდებოდა შეცდომების შესწორება. შემდეგ გაკვეთილზე კი გვანტერესებდა თუ რა შედეგი ექნებოდათ მოსწავლეებს. კლასის ნახევარი კარგად იგებდა გრამატიკულ საკითხებს, ხოლო ნახევარი კლასი იყო გაუგებრობაში. მაგრამ მასწავლებელი არ უბრუნდებოდა ისევ თავიდან იმ კონკრეტული გრამატიკული მასალის განმტკიცებას, არამედ ის სხვა გრამატიკული საკითხს უხსნიდა ისევ მოსწავლეებს.

გაკვეთილის დაკვირვების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს აუცილებლად კარგად უნდა ესმოდეს გაკვეთილის მიზანი. მერე უნდა შეიმუშაოს სტარტეგები და მეთოდები თუ როგორ მიაღწევს აღნიშნულ მიზანს. თუ ვერ გავიდა მასწავლებელი სასურველ შედეგზე, მან უნდა იფიქროს გამოსწორებაზე და არა ახალი მასალის კიდევ მიწოდებაზე.

მასწავლებელს შეუძლია გაკვეთილი დაგეგმოს ინდუქციურადაც და დედუქციურადაც და გავიდეს სასურველ შედეგზე. გაკვეთილებზე დაკვირვებიდან გამომდინარე შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ როდესაც მასწავლებელი ხსნის გრამატიკულ მასალას ინდუქციური მეთოდით, მოსწავლეები არიან ძალიან აქტიურები და ხალისით ასრულებენ აქტივობებს. ამიტომ, ჩვენი აზრით, გრამატიკული მასალის ახსნა ინდუქციური მეთოდით უფრო სახალისოა ვიდრე დედუქციური მეთოდით.


თვისებრივი კვლევის (გაკვეთილის პროცესზე დაკვირვების) შემდეგ გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა რაოდენობრივი კვლევა (მასწავლებლების და მოსწავლეების გამოკითვა)

1. კითხვარი მასწავლებლებისთვის.

1. რომელ სკოლაში მუშაობთ?

გამოკითხვა ჩავატარეთ საჯარო სკოლის და კერძო სკოლის მასწავლებლებთან, სულ გამოვკითხეთ 15 მასწავლებელი, აქედან 87 საჯარო სკოლის 4 მასწავლებელი, 157 სკოლის 4 მასწავლებელი, 21 სკოლის 3 მასწავლებელი, მწვანე სკოლის 3 მასწავლებელი და 147 სკოლის 1 მასწავლებელი.


დიაგრამა 1.1



2. სკოლაში მუშაობის სტაჟი

ჩვენს მიერ გამოკითხულ მასწავლებელთა სტაჟი მერყეობდა 5 წლიდან 18 წლამდე.

დიაგრამა 1.2




3. რა ტიპის აქტივობები არის უფრო ეფექტური საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის?

- წინადადებების მშობლიური ენიდან უცხოურ ენაზე თარგმნა
- დიალოგების გათამაშება
- გრამატიკული წესების გამოყენებით კონკრეტული წინადადებების შედგენა
- კითხვა-პასუხი
- სხვა აქტივობა -

ამ კითხვარში ძირითადად გვქონდა ოთხი ასარჩევი პასუხი, მაგრამ ასევე საშუალება ჰქონდათ მასწავლებლებს დამატებითი პასუხის. კონკრეტულ ჩარჩოში არ

მოვაქციეთ მასწავლებლები ამიტომ დამატებით აქტივობები დააფიქსირეს. ჩვენს მიერ გამოკითხულ მასწავლებელთა 33% ფიქრობს, რომ დიალოგების გათამაშება და წინადადებების მშობლიური ენიდან თარგმნა არის ეფექტური აქტივობა საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის. ხოლო 8% ფიქრობს, რომ ეფექტური აქტივობა არის კითხვა-პასუხი. 7% ფიქრობს, რომ ჯგუფური მუშაობა და აუდიო-ვიდეო მასალები არის ეფექტური. ხოლო 6% ფიქრობს, რომ გრამატიკული წესების გამოყენებით წინადადებების შედგენა და მულტიმედიის და ონლაინ თამაშების გამოყენება არის ეფექტური აქტივობა საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან.

დიაგრამა 1.3



4, ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების ახსნისას ხშირად რომელ მეთოდს იყენებთ საბაზო საფეხურზე?


ამ კითხვაზე პასუხის დროს მასწავლებლებმა დააფიქსირეს სხვადასხვა მოსაზრებები, მაგრამ თითქმის მასწავლებლების 80%-მა დააფიქსირა, რომ ასაკობრივ თავისებურებებს აქცევენ დიდ მნიშვნელობას და მოსწავლის შესაძლებლობებს, ამის მიხედვით არჩევენ კონკრეტულ აქტივობებს. ერთ-ერთმა ახსენა კიდევ რომ ერთი და იგივე აქტივობით სხვადასხვა მოსწავლესთან სხვადასხვა შედეგს აღწევს, ამიტომ აუცილებელია მეთოდების ხშირი ცვლა და რაც შეიძლება მეტი მეთოდის გამოყენება. მასწავლებლების უმრავლესობა თვლის, რომ ინდუქციური მეთოდით ახსნილი გაკვეთილები უფრო საინტერესო და მისაღებია მოსწავლისთვის. გარდა ინდუქციური და დედუქციური მეთოდების დაფიქსირდა სხვა მეთოდები, მათი გამოყენებით კი ინგლისური ენის გრამატიკის სწავლება უფრო ეფექტური და საინტერესოა. მაგალითად - ანალიზის მეთოდი, სინთეზის, ახსნა-განმარტებით მეთოდი, ელექტრონული სწავლება, დისკუსია, დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, გონებრივი იერიში, თვალსაჩინოება, ვიდეოს გამოყენება და ა. შ. პასუხებიდან გამომდინარე ერთი რამ ნათელია, რომ მასწავლებელი ერთ რაიმე კონკრეტულ მეთოდის გამოყენებაზე არ უნდა იყოს ორიენტირებული, არამედ მასწავლებელმა ყოველთვის უნდა გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი, რომ მისი მოსწავლეები იყვნენ მოტივირებულები და სწავლების პროცესში უნდა იყვნენ აქტიურები. მოსწავლეებს სიამოვნებას უნდა ანიჭებდეს სწავლის პროცესსი. ერთი და იგივე მეთოდით სწავლება, რაც არ უნდა იყოს ეფექტური ყოველთვის მოსაწყენია.

5. იყენებთ საბაზო საფეხურზე ინდუქციურ მეთოდს ინგლისური ენის გრამატიკის ახსნისას?

- დიახ
- არა
- მიჭირს პასუხის გაცემა

ჩემს მიერ გამოკითხულ მასწავლებლების 100% განაცხადა, რომ იყენებენ ინდუქციურ მეთოდს ინგლისური ენის გრამატიკის ახსნისას.

დიაგრამა 1.4



6. როდესაც იყენებთ ინდუქციურ მეთოდს ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების ახსნისას, რა ტიპის აქტივობებია უფრო ეფექტური?

ამ კითხვის პასუხებიდან გამომდინარე, სხვადასხვა მასწავლებელმა სხვადასხვა პასუხი დააფიქსირა, ზოგადი აქტივობები ჩამოთვალეს და არა რაიმე კონკრეტული აქტივობა. მაგალითად - ცნებების რუკა, როლური თამაშები, ჯიგსოუ მეთოდით აქტივობების დანაწევრება ჯგუფებში, ჩასმის მეთოდი, წინადადების აგების მეთოდი და ა. შ. მასწავლებლების უმრავლესობამ თქმა, რომ სხვადასხვა აქტივობებს იყენებს გრამატიკული საკითხების სწავლების დროს, მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე.

7. რა დადებითი და უარყოფითი მხარე შეგიძლიათ მითხრათ ინდუქციური მეთოდის?

მასწავლებლების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ინდუქციური მეთოდს უფრო მეტი დადებითი მხარე გააჩნია, ვიდრე უარყოფითი მხარე, ზოგიერთმა აღნიშნა კიდევაც რომ მას საერთოდ არ გააჩნია უარყოფითი მხარე, ზოგს კი არც უფიქრია მის უარყოფით მხარეზე. ქვემოთ კი ავლნიშნე ის პასუხები თუ რაც დაწერეს მასწავლებლებმა.

ინდუქციური მეთოდის დადებითი მხარე:

- ✓ მოსწავლეს უყალიბდება ინტუიციური აზროვნება, მოსწავლე სწავლობს აღმოჩენებით;
- ✓ მოსწავლეები თავად მიდიან საჭირო დასკვნამდე, რაც მათ ანალიტიკური უნარების განვითარებას უწყობს ხელს;
- ✓ მოსწავლე უფრო ჩართულია;
- ✓ მოსწავლე მსჯელობს და თვითონვე აყალიბებს წესებს, გამოაქვს დასკვნა;
- ✓ ინდუქციური მეთოდი მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვისაც კარგია, მეტ დამოკიდებულებას აჩვენებს მათ;
- ✓ უკეთ ამახსოვრდება ახსნილი მასალა.

ინდუქციური მეთოდის უარყოფითი მხარე:


- ✓ ენის დაბრკოლება. არიან მოსწავლეები ვინც არ იცის ენა და უჭირთ ინგლისურის გაგება, ინგლისურად საუბარი და თავს იკავებენ ხოლმე პასუხებზე;
- ✓ ხშირად ერთმანეთის აზრს არ ეთანხმდებიან, შეიძლება არასწორ წესამდევ მივიდნენ.
- ✓ დროის ფაქტორი - ეს მეთოდი საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს;
- ✓ მოსწავლეები დამოუკიდებლად მიდიან კანონიკურ დასკვნამდე, შეიძლება შეცდომა დაუშვან.

8. იყენებთ დედუქციურ მეთოდს ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების ახსნისა?

- დიახ
- არა
- მიჭირს პასუხის გაცემა

გამოკითხულთა 93%-მა აღნიშნა, რომ იყენებს დედუქციურ მეთოდს ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების ახსნისას, ხოლო 7%-მა აღნიშნა, რომ სრულიად არ იყენებს დედუქციურ მეთოდს ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების ახსნისას.

დიაგრამა 1.5



9.

როდესაც იყენებთ დედუქციურ მეთოდს ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების ახსნისას, რა ტიპის აქტივობებია უფრო ეფექტური?

მასწავლებლების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სხვადასხვა მეთოდს იყენებენ გრამატიკის საკითხების ახსნისას. ზოგმა აღნიშნა, რომ საერთოდ არ იყენებს დედუქციურ მეთოდს ინგლისური ენის გრამატიკული საკითხების ახსნისას. მათ კონკრეტულად დაასახელეს ის აქტივობები, რომლებიც ეფექტურია ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების ახსნის დროს. ეს აქტივობებია - გრამატიკული წესების გამოყენებით კონკრეტული წინადადების შედგენა, ტესტები, ვიდეო მასალის გამოყენება იმის შესამოწმებლად, თუ როგორ გაიგეს ახალი მასალა, კონკრეტული მაგალითების თარგმნა სხვადასხვა დროში და ა. შ. კონკრეტულ აქტივობებს ადგენს მასწავლებელი მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ დედუქციურ მეთოდს იყენებენ უფრო მაღალ კლასებში, საშუალო საფეხურზე.

10. რა დადებითი და უარყოფითი მხარე შეგიძლიათ მითხრათ დედუქციური მეთოდის?

მასწავლებლების უმრავლესობამ აღნიშნეს, რომ დედუქციურ მეთოდს არ გააჩნია უარყოფითი მხარე ან გააჩნია და არ დაფიქრებულვართო. ზოგმა მასწავლებლებმა კი დააფიქსირეს კონკრეტული დადებითი და უარყოფითი მხარეები დედუქციური მეთოდის.

დედუქციური მეთოდის დადებითი მხარე:

- ✓ მოკლე დროში ხდება გრამატიკული საკითხების ახსნა;
- ✓ მოსწავლეს აძლევს ცოდნის რეალიზების და იმაზე დაფიქრების საშუალებას რა და როგორ ისწავლა;
- ✓ მოსწავლეები პირდაპირ იგებენ ასახსნელ საკითხს;
- ✓ მოითხოვს მშობლიურ ენას სწავლების პროცესში.

დედუქციური მეთოდის უარყოფითი მხარე:


- ✓ მოსწავლეები ნაკლებად შემოქმედებითები არიან;
- ✓ მოსწავლეები არიან პასიურები;
- ✓ წესებით სწავლა გრძელვადიან დამახსოვრებას არ ემსახურება, ამიტომ მოსწავლეებს მალევე ავიწყდებათ ახსნილი მასალა.

11. თქვენი დაკვირვებით, ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების ახსნა რომელი მეთოდით არის უფრო ეფექტური საბაზო საფეხურზე?

- ინდუქციური მიდგომით
- დედუქციური მიდგომით
- ორივეთი

ინდუქციური მეთოდი წარმოდგენილია დედუქციური მეთოდის გარეშე, ასევე დედუქციური მეთოდი წარმოდგენილია ინდუქციური მეთოდის გარეშე. ორივე აღნიშნული მეთოდი ავსებს ერთმანეთს. მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა აღნიშნული მეთოდები. მაგრამ ჩემს მიერ გამოკითხულ მასწავლებლების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების ახსნა არის უფრო სახალისო და საინტერესო მოსწავლეებისთვის, როდესაც მასწავლებელი იყენებს ინდუქციურ მეთოდს სწავლების პროცესში.


დიაგრამა 1.6



12. რა შედეგები აქვთ თქვენს მოსწავლეებს ინგლისური ენის გრამატიკაში?

ამ კითხვარში მასწავლებლებს ვთხოვეთ 5 ბალიანი სისტემით შეეფასებინათ თავიანთი მოსწავლეების გრამატიკის შედეგები. (1 - მინიმალური 5 - მაქსიმალური.) უმრავლესობამ აღნიშნა, რომ თავიანთ მოსწავლეებს აქვთ გრამატიკის კარგი შედეგი. მასწავლებლების 7 % - მა აღნიშნა 3, მასწავლებლების 57% -მა აღნიშნა 4, ხოლო მასწავლებლების 36% -მა დააფიქსირა 5.

დიაგრამა 1.7



რამეს ხო არ დაამატებდით.

უმრავლესობამ თავი აარიდა რჩევის მიცემას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, მაინც აღმოჩნდა გამოკითხულთა შორის რამოდენიმე მასწავლებელი, რომლებმაც დაამატა კიდევ თავისი სათქმელი. მასწავლებლების უმრავლესობა ერთ ხმად თანხმდება, რომ გრამატიკის სწავლების პროცესი უნდა იყოს სახალისო, ამიტომ მასწავლებელმა უნდა დაგეგმოს სასწავლო პროცესი ისე, რომ გათვალისწინებული იყოს ყველა მოსწავლის შესაძლებლობები. ამისთვის კი მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს არა მხოლოდ დედუქცია და ინდუქცია არამედ ყველა ის ახალი მეთოდები, რომლებიც გაუადვილებს მოსწავლეებს გრამატიკული საკითხების შესწავლას.

როგორც ვხედავთ მასწავლებლების უმრავლესობა იყენებს ორივე მეთოდს ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების ახსნისას. ორივე მეთოდს, რა თქმა უნდა, გააჩნია როგორც დადებითი მხარე ასევე უარყოფითი მხარე. ამიტომაც სწავლების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებელს. სწორედ მასწავლებელმა უნდა დაგეგმოს გაკვეთილი და სწორად შეარჩიოს გარკვეული მეთოდი კონკრეტული კლასისთვის. შეიძლება ერთ და იგივე კლასის სხვადასხვა ჯგუფთან ერთნაირ შედეგზე ვერ გავიდეს მასწავლებელი ერთი და იგივე მეთოდით.


2. კითხვარი მოსწავლეებისთვის

შევიმუშავეთ საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის კითხვარი. შევარჩიეთ სამი სკოლა - 21-ე საჯარო სკოლა, 87-ე საჯარო სკოლა და 157-ე საჯარო სკოლა. ჩვენს კითხვარს წინ უძღვოდა, რა თქმა უნდა, ორივე მეთოდის განმარტება და მიუხედავად ამ ყველაფრისა ჩვენ თვითონ შეგვიყვანეს მასწავლებლებმა გაკვეთილზე და დავურიგეთ კითხვარები მოსწავლეებს. დაფაზე დავწერეთ ორივე მეთოდის სახელწოდება - იდუქციური მეთოდი და დედუქციური მეთოდი და კონკრეტული მაგალითის განხილვით ავუხსენით თუ როგორი სწავლება იგულისხმებოდა ამ მეთოდებში.

1. რომელ სკოლაში სწავლობთ?

კითხვარში მონაწილეობა მიიღეს თანაბარი რაოდენობის ბავშვებმა. 35-35 მოსწავლე თითო სკოლიდან.


დიაგრამა 2.1



2. რომელ კლასში ხართ?

მონაწილეობა მიიღეს მეშვიდე კლასის 35 მოსწავლემ, მერვე კლასის 35 მოსწავლემ და მეცხრე კლასის 35 მოსწავლემ.

დიაგრამა 2.2




3. ინგლისური ენის გრამატიკის სწავლება რთულია ჩემთვის.

- დიახ
- არა
- მიჭირს პასუხის გაცემა

ჩვენს მიერ გამოკითხულ მოსწავლეების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ არ არის გრამატიკის სწავლება რთული მათთვის. დიახ - 12%, არა - 72% და მიჭირს პასუხის გაცემა - 16%.

დიაგრამა 2.3




4. რა ტიპის აქტივობა არის თქვენთვის საინტერესო?

- წინადადებების მშობლიური ენიდან ინგლისურ ენაში თარგმნა;
- დიალოგების გათამაშება;
- გრამატიკული წესების გამოყენებით კონკრეტული მაგალითების შედგენა;
- კითხვა-პასუხი.

მოსწავლეების 32% - მა აღნიშნა, რომ დიალოგების გათამაშება და კითხვა-პასუხი არის საინტერესო აქტივობა მათთვის, ხოლო 26%-მა აღნიშნა, რომ გრამატიკული წესების გამოყენებით კონკრეტული მაგალითების შედგენა არის საინტერესო აქტივობა და 10%-მა კი აღნიშნა, რომ წინადადებების მშობლიური ენიდან ინგლისურ ენაში თარგმნა არის საინტერესო აქტივობა მათთვის.

დიაგრამა 2.4




5. ინგლისური ენის გაკვეთილზე გრამატიკის საკითხების შესწავლისას მასწავლებელი იყენებს ინდუქციურ მეთოდს.

- დიახ
- არა
- მიჭირს პასუხის გაცემა

უმრავლესობამ დააფიქსირა, რომ დიახ. ხოლო პროცენტული მაჩვენებელი კი ასე გადანაწილდა - დიახ - 67%, არა - 28% და მიჭირს პასუხის გაცემა - 5%.

დიაგრამა 2.5




6. გაადვილდებათ ინგლისურის გაკვეთილზე გრამატიკული მასალა, როდესაც მასწავლებელი ხსნის ინგლისური ენის გრამატიკულ საკითხს ინდუქციური მეთოდით?

- დიახ
- არა
- მიჭირს პასუხის გაცემა

გამოკითხულ მოსწავლეთა 68%-ს უადვილდება ინგლისურის გრამატიკული საკითხები, როდესაც მასწავლებელი ხსნის ინგლისური ენის გრამატიკულ საკითხს ინდუქციური მეთოდით. ხოლო მოსწავლეების 16% თვლის, რომ არ უადვილილდებათ გრამატიკული მასალა ინდუქციური მეთოდით ახნილი და უჭირთ პასუხის გაცემა.

დიაგრამა 2.6




7. ინგლისური ენის გაკვეთილზე გრამატიკის საკითხების შესწავლისას მასწავლებელი იყენებს დედუქციურ მეთოდს.

- დიახ
- არა
- მიჭირს პასუხის გაცემა

მოსწავლეების 72%-მა აღნიშნა, რომ მასწავლებელი იყენებს დედუქციურ მეთოდს ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების ახსნისას. 18 %-მა კი აღნიშნა რომ არ იყენებს

მასწავლებელი დედუქციურ მეთოდს ინგლისური ენის გრამატიკის ახსნისას და 10% -მა თქვა, რომ უჭირს პასუხის გაცემა.

დიაგრამა 2.7




8. გაიდვილდებათ ინგლისურის გაკვეთილზე გრამატიკული მასალა, როდესაც მასწავლებელი ხსნის ინგლისური ენის გრამატიკულ საკითხის დედუქციური მეთოდით?

- დიახ
- არა
- მიჭირს პასუხის გაცემა

მოსწავლეების 56%-მა დააფიქსირა, რომ მათ უადვილდებათ ინგლისური ენის გრამატიკული საკითხების სწავლა დედუქციური მეთოდით, ხოლო მოსწავლეების 24%-მა აღნიშნა, რომ უჭირთ პასუხის გაცემა და მოსწავლეების 20%-მა აღნიშნა, რომ არ უადვილდებათ ინგლისურის გაკვეთილზე გრამატიკული საკითხი დედუქციური მეთოდით.

დიაგრამა 2.8



როგორც დავინახეთ მოსწავლეების უმრავლესობას არ უჭირთ ინგლისური ენის გრამატიკის სწავლა ინგლისურის გაკვეთილზე. მოსწავლეებს მოსწონთ ორივე მეთოდი და მათ სურთ ახალი მასალა მიეწოდოთ შესაფერისი მეთოდით. ორივე მეთოდი მისაღებია მოსწავლეების უმრავლესობისთვის.

კვლევის შედეგები

საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების შედეგად ჩვენთვის ნათელი იყო, თუ რა პრობლემები იყო საჯარო სკოლებში. ამის შემდეგ ეტაპზე კი გადავწყვიტეთ მასწავლებლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა, რათა უფრო ნათელი ყოფილიყო ჩვენთვის აღნიშნული საკითხი.

ჩვენს გამოკითხვაში მონაწილემა მიიღეს გამოცდილება მასწავლებლებმა, რომლთა სკოლაში მუშაობის სტაჟი მერყეობდა 5-წლიდან 18-წლამდე. მასწავლებლების 100% განაცხადა, რომ ისინი იყენებენ ინდუქციურ მეთოდს გრამატიკის სწავლების პროცესში. ისინი თვლიან, რომ ინდუქციური მეთოდით ახსნილი გრამატიკული მასალა საინტერესოა მოსწავლეებისთვის და მაქსიმალურად ჩართულები არიან სწავლების პროცესში. მათ მიერ აღმოჩენილი გრამატიკული წესები კი სამუდამოდ ამახსოვრდებათ. ხოლო მასწავლებლების 7% აღნიშნავს, რომ დედუქციური მეთოდით გრამატიკის ახსნა უფრო ხელსაყრელია მასწავლებლისთვის და მოსწავლისთვისაც. ისინი აღნიშნავენ, რომ არიან მოსწავლეები, რომლებსაც არ შეუძლიათ აღმოაჩინონ რაიმე წესები და ურჩევნიათ პრეზენტაციის სახით გაიგონ წესი და მერე მაგალითებით განამტკიცონ.

გამოკითხულ მასწავლებლების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დიალოგების გათამაშება და წინადადებების თარგმნა ეფექტური აქტივობაა მოსწავლეებისთვის. დიალოგების გათამაშება არის ერთ-ერთ ინდუქციური აქტივობა, ხოლო წინადადებების თარგმნა კი დედუქციური აქტივობა. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებლების უმრავლესობა მხარს უჭერს, როგორც დედუქციურ მეთოდს ასევე

ინდუქციურ მეთოდს. შესაბამისად ორივე მეთოდს იყენებს ინგლისური ენის გრამატიკის სწავლების პროცესში.

მოსწავლეების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ გრამატიკის სწავლება სულ არ უჭირთ. მოსწავლეების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ გრამატიკული მასალა უადვილდებათ ინდუქციური მეთოდით ახსნის დროს. ისინი აქტიურ აქტივობად ასახელებენ დიალოგების გათამაშებასა და კითხვა-პასუხის რეჟიმით მუშაობას. აღნიშნული ორივე აქტივობა არის ინდუქციური მეთოდის აქტივობა. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსწავლეებისთვის საინტერესო და სახალისო ხდება გრამატიკული მასალის სწავლება, როდესაც მასწავლებელი იყენებს ინდუქციურ მეთოდს.

ჩვენი თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ინდუქციური მეთოდით გრამატიკის ახსნა უფრო სახალისოა და შედეგზე ორიენტირებულია.

დასკვნები

ჩვენი კვლევის პერიოდში კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა იმ ფაქტს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია გრამატიკის საკითხების ეფექტურად სწავლება ინგლისური ენის სწავლების პროცესში. გრამატიკა, როგორც წესების ერთობლიობა, წინადადებების სწორად ასაგებად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენის სწავლების პროცესში.

საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის, ასევე ჩვენი, ინგლისური ენის გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ დღესდღეობით, საჯარო სკოლებში აღნიშნება რიგი პრობლემები გრამატიკის სწავლების პროცესში. ჩვენს მიერ აღნიშნულ სკოლებში თითქმის ერთნაირმა პრობლემებმა იჩინა თავი.

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გრამატიკულ საკითხების ახსნისას იყენებენ, როგორც დედუქციურ მეთოდს, ასევე ინდუქციურ მეთოდსაც. თუმცა, მასწავლებლების უმრავლესობამ ხაზ გასმით აღნიშნეს, რომ უფრო ხშირად იყენებენ ინდუქციურ მეთოდს ვიდრე დედუქციურ მეთოდს გრამატიკული საკითხების ახსნის პროცესში. რადგან მოსწავლეებს უადვილდებათ გრამატიკული მასალა, როდესაც მასწავლებელი იყენებს ინდუქციურ მეთოდს. სინამდვილეში კი როდესაც გაკვეთილებს ვაკვირდებოდი ინდუქციური მეთოდით იშვიათად ხდებოდა გრამატიკული საკითხების ახსნა.

მართალია, მოსწავლეების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ გრამატიკის სწავლება არ უჭირთ საერთოდ. მაგრამ დაკვირვების პროცესში რეალობა სულ სხვა აღმოჩნდა. მოსწავლეები სწავლობდნენ გრამატიკულ საკითხებს, მაგრამ მათ უჭირდათ კონკრეტულ სიტუაციებში მათი გამოყენება. შემდეგ გაკვეთილზე კი უჭირდათ წინა მასალის გახსენება, მალევე ავიწყდებოდათ გრამატიკული წესები და მას ვერ იყენებდნენ კომუნიკაციის პროცესში.

დაკვირვების პროცესში ასევე დავაკვირდით, თუ რომელი მეთოდით ახსნილი გრამატიკული მასალა იქნებოდა შედეგზე ორიენტირებული. ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსწავლეებზე მორგებული მეთოდია ინდუქციური მეთოდით სწავლება. როდესაც მასწავლებელი იყენებდა ინდუქციურ მეთოდს გრამატიკის ახსნის

პროცესში, ყველა მოსწავლე იყო ჩართლი სწავლის პროცესში და მათ მიერ აღმოჩენილი წესები სამუდამოდ ამახსოვრდებოდათ, ასევე ადვილად შეეძლოთ გამტკიცება მიღებულ ცოდნის. ინდუქციური მეთოდით სწავლების დროს, რომ არ წარმოიქმნას დაბრკოლებები ამისთვის დიდი როლს ასრულებს მასწავლებელი. სწორედ მასწავლებელმა უნდა მიიყვანოს მოსწავლეები ზუსტ წესამდე, რომ არ მოხდეს შეცდომით დასწავლა.

აუცილებელია მოსწავლეებისთვის სხვადასხვა კონტექსტისა და სიტუაციების შეთავაზება, რომ ახალი გრამატიკული მასალა პრაქტიკაში გამოიყენოს და არა მხოლოდ წესები დაისწავლოს.

გრამატიკის სწავლების პროცესში გამოვლენილი დაბრკოლების ანალიზმა ცხადყო, რომ პრობლემათა სათავე სწორედ იმ სწავლის მეთოდებშია, რომლითაც მასწავლებელი იყენებს საგაკვეთილო პროცესში. ამიტომ აუცილებელია პრობლემის აღმოფხვრა.

აუცილებელია მასწავლებელმა იცოდეს დედუქციური და ინდუქციური მეთოდების ნაკლოვანებები და უპირატესობები. როდესაც, ის გადაწყვეტს ერთ-ერთი მეთოდის გამოყენებას გრამატიკული მასალის ახსნისთვის. მან უნდა შემუშაოს სწორი სტრატეგიები და უნდა იფიქროს მის სწორად გამოყენებაზე. იმისათვის, რომ მან მიაღწიოს მიზანს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა სწავლების პროცესში ყურადღება გაამახვილოს ახალ გრამატიკულ საკითხების პრაქტიკულ გამოყენებაზე და მოსწავლეებს დაანახოს მისი გამოყენების საჭიროება.

როგორც ვხედავთ ჩვენი კვლევის პერიოდში გამოიკვეთა პრობლემები:

- ✓ მასწავლებლები იშვიათად იყენებენ ინდუქციურ მეთოდს ინგლისური ენის გრამატიკის სწავლების პროცესში, დროის სიმცირის გამო;
- ✓ ისინი ხშირად იყენებენ დედუქციურ მეთოდს ინგლისური ენის გრამატიკის სწავლების პროცესში;
- ✓ მოსწავლეებს უჭირთ გრამატიკული მასალის კონტექსტში გამოყენება;
- ✓ სწრაფად ავიწყდებათ გრამატიკული საკითხები;
- ✓ გრამატიკული საკითხები ისწავლება კონტექსტის გარეშე საჯარო სკოლებში

რეკომენდაციები

ზემოთ აღნიშნული საკითხების საფუძველზე გამოვიტანეთ შესაბამისი რეკომენდაციები:

- სასურველია, ჩატარდეს ფართო მაშტაბიანი კვლევა საქართველოში, საჯარო სკოლებში ინგლისური ენის გრამატიკული საკითხების ინდუქციური და დედუქციური მეთოდებით სწავლების პროცესების დასაკვირვებლად და პრობლემების აღმოსაფხვრელად;
- ინგლისური ენის გაკვეთილზე, გრამატიკული საკითხების ახსნისას სასურველია ყურადღების გამახვილება ისეთ გრამატიკულ საკითხებზე, რომელთა ცოდნაც აუცილებელია მოსწავლეებისთვის;
- ინგლისური ენის გაკვეთილზე აუცილებელია კონტექსტიდან გამომდინარე მოხდეს გრამატიკული საკითხის ახსნა და არა ცალკე გრამატიკული საკითხის ახსნა;
- გრამატიკული მასალის ახსნისას უნდა იქნეს გათვალისწინებული ასაკი და პიროვნული თავისებურებები. ამის გათვალისწინებით უნდა შეარჩიოს მასწავლებელმა შესაფერისი მეთოდი;
- ინგლისური ენის სწავლების პროცესში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის მოტივაცია. სწორედ ამიტომ მასწავლებელი ვალდებულია იზრუნოს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებაზე. ამისთვის კი აუცილებელია მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, საინტერესო და სახალისო აქტივობების შეტანა კლასში;
- საბაზო საფეხურის მოსწავლეების საკომუნიკაციო ენა ინგლისური ენის გაკვეთილზე უნდა იყოს ინგლისური ენა;
- ინგლისური ენის გაკვეთილზე ყურადღება უნდა გამახვილდეს მოსწავლეების მიერ დაშვებულ შეცდომებზე და მასწავლებლის მიერ უნდა მოხდეს შესწორება უმტკივნეულოდ;

- ნებისმიერი გრამატიკული საკითხის ახსნისას აუცილებელია დამატებით რაც შეიძლება მეტი სავარჯიშო გააკეთონ მოსწავლეებმა, რომ განამტკიცონ მიღებული ცოდნა და კონტექსტში არ გაუჭირდეთ მათი გამოყენება;
- სასურველია მასწავლებელმა გამოიყენოს თვალსაჩინოება გრამატიკული საკითხების ახსნისას, რომ უფრო დაამახსოვრდეთ საკითხები;
- მასწავლებელი მაქსიმალურად უნდა ზრუნავდეს მოსწავლეების გაკვეთილზე ჩართულობაზე;
- მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს დედუქციური და ინდუქციური მეთოდები გრამატიკული საკითხების ახსნისას, მთავარია სწორად ორგანიზება გაკვეთილის ამ მეთოდების მეშვეობით;
- დედუქციური მეთოდი უფრო ხელსაყრელია საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის, ამიტომ საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან უმჯობესია გამოიყენოს მასწავლებელმა ინდუქციური მეთოდი;
- ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ გრამატიკული საკითხების სწავლება საბაზო საფეხურზე ინდუქციური მეთოდით არის უფრო სახალისო და საინტერესო;
- მიუხედავად დროის სიმცირისა, მასწავლებელმა ხშირად უნდა გამოიყენოს ინდუქციური მეთოდი გრამატიკული საკითხების ახსნისას;
- აუცილებელია საბაზო საფეხურზე ინგლისური ენის გაკვეთილზე საკომუნიკაციო ენად უნდა იქნეს გამოყენებული ინგლისური ენა.

ვიმედოვნებთ, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების სწავლების პროცესში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ლიტერატურის სია

- 1) ბასილაძე, ი., აბზიანიძე, ლ. გაკვეთილი, როგორც პედაგოგიური ფენომენი. ქუთაისი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2009.
- 2) გაგუა, ვ. პედაგოგიკა. თბილისი. 1996.
- 3) გიორგობიანი, ლ., კახიშვილი, ლ., მაცხოვნაშვილი, გ., ქვლივიძე, რ. უცხოური სწავლების თეორია და მეტოდისკა. თბილისი. გამომცემლობა ენა და კულტურა. 2004.
- 4) დოლიძე, ნ. ინდუქციური მიდგომები სასწავლო პროცესში. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა. 2017
- 5) ეფექტიანი სწავლება თეორია და პრაქტიკა. თბილისი. გამოცდების ეროვნული ცენტრი კვლევის დეპარტამენტი. 2010.
- 6) კრავიშვილი, მ. უცხოური ენების სწავლების მეთოდისკა. თბილისი. გამომცემლობა „ენა და კულტურა“.
- 7) მაცხოვნაშვილი, გ., ქვლივიძე, რ. ინგლისური ენის გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების მეთოდისკა. თბილისი. 1983.
- 8) პაპუნაშვილი, ნ. თვალსაჩინოების გამოყენების სტრატეგიები ზეპირმეტყველების განვითარებისთვის (6-7 წლის ასაკის ინგლისური ენის მსწავლელებში) სადოქტორო დისერტაცია. თელავი. ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- 9) საგნობრივი პროგრამა უცხოურ ენაში. 2018.
- 10) შავერდაშვილი, ე., ფიცხელაური, ნ., რამიშვილი, ფ., გვასალია, მ. უცხოური ენების სწავლების საფუძვლები. პირველი ნაწილი. თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2014. 268.
- 11) ციციშვილი, რ., ნიჟარაძე, ნ., დარჩია, მ. თევზაია, მ. და ტყავაშვილი, ე. ინგლისური ენის სწავლების თეორია და პრაქტიკა საქართველოში. თბილისი. 2006.
- 12) ჭკუასელი, ი. პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა. 1986.

- 13) Celce-Murcia, M., Brinton, D.M., Snow, M.A. Teaching English as a second or Foreign Language. Fourth edition. Natinal Geographic Learning.
- 14) Gollin, J. Deductive vs Inductive Language Learning. Key concepts in ELT. Oxford University Press, 52/1. Retrieved September, 2014 from <http://eltj.oxfordjournals.org/content/52/1/88.full.pdf+html>.
- 15) Harmer, J. The practice of English Language Teaching. Fourth edition. London. Pearson Education Limited. 2007
- 16) Krashen, S. Theory of second Language Acquisition-available since April 1998 Last version June 12, 2014.
- 17) Penny U. Grammar Practice Activities a practical guide for teaches. Cambridge University press. 2006. 288.
- 18) Thornbury, S. How to teach grammar. Series editor Jeremy Harmer. Peason Education Limited. 1999, 190.

მასწავლებლის კითხვარი

მოგესალმებით, მე გახლავართ მარია დადიანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტი. ვატარებ კვლევას, რომელიც გულისხმობს საბაზო საფეხურზე ინგლისური ენის გრამატიკის სწავლებას ინდუქციური და დედუქციური მეთოდით. თქვენი გულწრფელი პასუხები საშუალებას მომცემს, რომ ნათელი წარმოდგენა შევიქმნა საკვლევ საკითხზე.

თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია იქნება ანონიმური.

დიდი მადლობა თანამშრომლობისთვის!

1. რომელ სკოლაში ასწავლით?
2. სკოლაში მუშაობის სტაჟი.
3. რა ტიპის აქტივობები არის უფრო ეფექტური საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის?
 - წინადადებების მშობლიური ენიდან უცხოურ ენაზე თარგმნა და პირიქით თარგმნა.
 - დიალოგების გათამაშება
 - გრამატიკული წესების გამოყენებით კონკრეტული წინადადებების შედგენა
 - კითხვა-პასუხი
4. ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების ახსნისას ხშირად რომელ მეთოდს იყენებთ საბაზო საფეხურზე?
5. იყენებთ საბაზო საფეხურზე ინდუქციურ მეთოდს ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების ახსნისას?
6. როდესაც იყენებთ ინდუქციურ მეთოდს ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების ახსნისას, რა ტიპის აქტივობებია უფრო ეფექტური?

7. რა დადებითი და უარყოფითი მხარე შეგიძლიათ მითხრათ ინდუქციური მეთოდის.
8. იყენებთ დედუქციურ მეთოდს ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების ახსნისას?
9. როდესაც იყენებთ დედუქციურ მეთოდს ინგლისური ენის გრამატიკის საკითხების ახსნისას, რა ტიპის აქტივობებია უფრო ეფექტური?
10. რა დადებითი და უარყოფითი მხარე შეგიძლიათ მითხრათ დედუქციური მეთოდის.
11. თქვენი დაკვირვებით, ინგლისური ენის გრამატიკის ახსნა რომელი მეთოდით არის უფრო ეფექტური საბაზო საფეხურზე?
 - ინდუქციით
 - დედუქციით
 - ორივეთი
12. რა შედეგები აქვთ თქვენს მოსწავლეებს ინგლისური ენის გრამატიკაში? (1 - მინიმალური 5 - მაქსიმალური.)

რამეს ხომ არ დაამატებდით?

მოსწავლეების კითხვარი

მოგესალმებით, მე გახლავართ მარიკა დადიანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტი. ვატარებ კვლევას, რომელიც გულისხმობს საბაზო საფეხურზე ინგლისური ენის გრამატიკის სწავლებას ინდუქციური და დედუქციური მეთოდით. გთხოვთ გაეცანით კითხვარს და მონიშნეთ თქვენთვის მისაღები პასუხები. თქვენგან მიღებული ინფორმაცია სასარგებლო იქნება კვლევის მიზნის მისაღწევად (პასუხები ანონიმურია)

ინდუქციური მეთოდი - ეს არის სწავლების გზა, როდესაც მაგალითების გამოყენებით ხდება გრამატიკული წესების შემუშავება. მოსწავლეები არიან უფრო აქტიურები და მასწავლებელი პასიური. სწავლება მიმდინარეობს სამიზნე ენაზე.

დედუქციური მეთოდი - ეს არის სწავლების გზა, როდესაც ხდება ჯერ გრამატიკული წესების პრეზენტაცია და შემდეგ მოსდევს მაგალითები. მასწავლებელი არის უფრო აქტიური გაკვეთილზე და მოსწავლეები პასიურები. სწავლება მიმდინარეობს მშობლიური ენის დახმარებით.

დიდი მადლობა თანამშრომლობისთვის!

1. რომელ სკოლაში სწავლობთ?
2. რომელ კლასში ხართ?
3. ინგლისური ენის გრამატიკის სწავლება რთულია ჩემთვის.
 - დიახ
 - არა
 - მიჭირს პასუხის გაცემა
4. რა ტიპის აქტივობა არის თქვენთვის საინტერესო?
 - წინადადებების მშობლიური ენიდან ინგლისურ ენაზე თარგმნა და პირიქით თარგმნა.

- დიალოგების გათამაშება.
 - გრამატიკული წესების გამოყენებით კონკრეტული წინადადებების შედგენა.
 - კითხვა-პასუხი.
5. ინგლისური ენის გაკვეთილზე გრამატიკის საკითხების შესწავლისას მასწავლებელი იყენებს ინდუქციურ მეთოდს.
- დიახ
 - არა
 - მიჭირს პასუხის გაცემა
6. გაადვილდებათ ინგლისურის გაკვეთილზე გრამატიკული მასალა, როდესაც მასწავლებელი ხსნის ინგლისური ენის გრამატიკულ საკითხს ინდუქციური მეთოდით?
- დიახ
 - არა
 - მიჭირს პასუხის გაცემა
7. ინგლისური ენის გაკვეთილზე გრამატიკის საკითხების შესწავლისას მასწავლებელი იყენებს დედუქციურ მეთოდს.
- დიახ
 - არა
 - მიჭირს პასუხის გაცემა
8. გაადვილდებათ ინგლისურის გაკვეთილზე გრამატიკული მასალა, როდესაც მასწავლებელი ხსნის ინგლისური ენის გრამატიკულ საკითხს დედუქციური მეთოდით?
- დიახ
 - არა
 - მიჭირს პასუხის გაცემა

დანართი 3

გაკვეთილის შეფასების სქემა

კრიტერიუმები	იშვიათად	ხანდახან	ხშირად	ყოველთვის	არასოდეს
მასწავლებელი იყენებს დედუქციურ მეთოდს					
მასწავლებელი იყენებს ინდუქციურ მეთოდს					
მოსწავლეები არიან აქტიურები					
მოსწავლეებს უჭირთ ახალი გრამატიკული საკითხების გაგება					
კომუნიკაცია მიმდინარეობდა მშობლიურ ენაზე					
კომუნიკაცია მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე					
მოსწავლეები იყენებ ახალ გრამატიკულ საკითხებს კონკრეტულ სიტუაციებში					
მოსწავლეები სხვადასხვა სავარჯიშოების დახმარებით განამტკიცებენ ახალ გრამატიკულ მასალას					

დანართი 4

Ivane Javakhishvili State University
Faculty of Psychology and Educational Sciences
MA Program: Teacher Education

Marika Dadiani

English Language Grammar Teaching with Deductive and Inductive
Methods
at Secondary school

The Thesis is submitted to earn the Academic degree of Master (MA) in Teacher
Education

Thesis Supervisor: Nino
Chakhunashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Psychology and Education Sciences

Faculty of Education Sciences Department

Assistant-Professor Doctor of Pedagogical Sciences

Tbilisi 2019